ზურაბ გოგეშვილი

თეთრი სიჩუმე

ამ მშვენიერი კრებულის ავტორი ზურაბ გოგეშვილია - კაცი სათნო, კეთილშობილი, ენერგიული, მეოცნებე, პოეზიით და სიყვარულით სავსე. მისი პროფესიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პოეზიისგან თითქოს შორს უნდა ყოფილიყო - იგი ინჟინერ-ტექნოლოგია, ამასთან გატაცებულია იოგათი - იოგას ინსტრუქტორია. ამის მიუხედავად, მის ცხოვრებაში პოეზიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, უფრო მეტიც - მისი ყოველი დღე პოეზიით იწყება. ლექსებს ახალგაზრდობიდანვე წერდა, მაგრამ მათ გამოქვეყნებაზე არასდროს უფიქრია, მეგობართა წრეში კითხულობდა ხოლმე, შემდეგ ურჩიეს, რამდენიმე ლექსი რომელიმე გაზეთში ან ჟურნალში მიეტანა, ასეც მოიქცა და წარმატებამაც არ დაახანა, ნაწერი შეუქეს, გაამხნევეს. მრავალი ლექსი დაუგროვდა, რომელთაგან საუკეთესოები შეარჩია და ამ კრებულის სახით სთავაზობს მკითხველს.

ცნობილი ამბავია, ვინც უნდა იყოს - მწერალი, მხატვარი თუ კომპოზიტორი, ვერაფერს შექმნის, თუ ის მოწყვეტილია ცხოვრებას, ცხოვრებისეული შთაბეჭდილებისა და გამოცდილების გარეშე შემოქმედება არ არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ზურაბ გოგეშვილის ლექსები ცხოვრების ანარეკლია - ისეთივე მღელვარე, მშფოთვარე, იმედიანი და ნაღვლიანი, როგორც თავად წუთისოფელი. წერს სადად, ალალად, გასაგებად - აქაა მისი პოეზიის ხიბლი.

გვწამს, მისი გულწრფელი და ლამაზი შემოქმედება მკითხველთა სულშიც აღძრავს იმ ემოციებს და ექსპრესიას, რა მღელვარებითაც დაიწერა კრებულში წარმოდგენილი ლექსები.

ზურაბ ფირცხალაიშვილი
ბათუმი, 20.01.2016

ზურაბ გოგეშვილი

თეთრი სიჩუმე

« ვიწყებ დღეების თავიდან ათვლას... »

თბილისი 2023

წიგნი შეადგინა და
გამოსაცემად მოამზადა: **ირმა ბორჩხაძე**
მარიამ ძიმისტარიშვილი

განსაკუთრებული მადლობა გაწეული პროფესიული
დახმარებისთვის **მურად ზარნაძეს**

დაკაბადონება: **თამარ მინდორაძე**

შემოდგომის ფოთლები

ბევრჯერ დაფარავს მიწას ფოთლები,
ღრუბელიც ბევრჯერ დაფარავს ცისკარს,
მე კი, ო, ღმერთო, ერთხელ მოვედი
და ერთხელ წასვლის გამხადე ღირსად!

ტყეში ჩიტებთან მაცხოვრა ნეტა

ტყეში ჩიტებთან მაცხოვრა, ნეტა,
ვკრეფდე მზის ნაყოფს, ზრუნვით მოყვანილს,
მე შვლის ნუკრივით ვიკმარებ ცოტას,
მაგრამ რა ვუყო მტერს და მოყვარეს...

რა ვუყო ნაჩვევ ფუსფუსს და წუხილს,
შენთვის გამოვლილ ცეცხლსა და დელგმას,
არგაციებას სტუმრისთვის ბუხრის,
საჭირვარამო ზარების რეკვას.

ბევრი ვიარეთ კარგად თუ ცუდად,
მინდა ბოლომდე გედგე ჯებირად,
ნუკრის ულუფა მყოფნიდეს მუდამ,
ხარისოდენა შემაძლებინა.

პირველად, მაშინ

როცა პირველად დავადგი ფეხი
ცვარიან მიწას, მაშინ, პატარამ,
როცა მიდამო, მაღალი მთები,
პირველმა თოვლმა თეთრად დაფარა,

როცა პირველად ჩამესმა ძილში,
ძაღლების ყეფა, მამლის ყივილი,
მას მერე მომდევს, ლხინში თუ ჭირში,
ჩემი ამ მიწის სიტკბოც, ტკივილიც.

როცა პირველად, საწოლთან დახრილ
დედის თბილ ღიმილს შევხვდი ღიმილით,
მაშინ ვიგრძენი რაღაცა ახლის
შეუცნობელი სიტკბოც, ტკივილიც.

როცა პირველად, შემდგარმა სკამზე
გავაწკრიალე ზარივით ლექსი,
მაშინ ვიგრძენი ლექსის სინაზე,
ჩემი პირველი ძალა და ფესვი.

როცა ვისწავლე პირველი სიტყვა,
მოვწყვიტე ია, ფრთხილად, პირველად,
მას მერე მიყვარს, ო, როგორ მიყვარს
მწვანე მთები და ეზოს წიფელა.

დღემდე, მას მერე, მომდევს, მომყვება,
ხან სიტკბოება, ხან კი ცრემლები,
მას მერე იწვის, იწვის, არ ქრება
ის სიყვარული უკურნებელი.

...

წესად გვქონდეს ცხოვრებაში ტარება
მუდამ ერთად ეკლისა და ყვავილის,
უმიზეზოდ არაფერი არ ხდება,
უშედეგოდ არაფერი ჩაივლის!

შენზე ზრუნვა არ მოგვშლოდეს, ვენახო!
იმ მიწა-წყლის, რამაც დაგვაფრთიანა,
მწარე ჭიქის მხოლოდ გემო გვენახოს,
ტკბილი ჭიქა დაგვეცალოს მთლიანად!

ერთხელ, რთველობას!

რომ გავჩნდი, გაჩნდა ტრფობაც და სევდაც,
იმ დღეს დარგულა ვენახი, თურმე,
მაშინ ქვევრებში ბადაგი ჩქეფდა,
მაშინ ჭრიალი გაჰქონდათ ურმებს.

მას მერე მესმის მიწის ძახილი,
და მიწის ცვარში ვღვივი, ვიზრდები,
ხან ვიფურჩქნები იმ ვენახივით,
ხან ვენახივით ცრემლად ვიღვრები.

ერთხელ, რთველობას, სულის ზეიმმა,
მიწის სურნელმა, ვაზის სინაზემ,
ღიღინ-ღიღინით ოქროს ზვრებიდან
გადმოინაცვლა ქართულ სუფრაზე.

წამოიმართა ბრძენი თამადა,
თითქოს შემოკრა სადღაც ზარებმა,
ასწია ხელი მშვიდად, დინჯად და
მზით სავსე თასი მზეს შეაგება.

ერთგულება და სითბო, ნუგეში,
ქება კაცობის, გმობა სიყალბის,
ილექებოდა სულის ღრმულებში,
როცა ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი.

შრომაში, მზის და ვაზის ქებაში,
ასე მომყვება, მომდევს სულ ასე,
დავაჟკაცება ზვრებში, ვენახში,
ჭეშმარიტება ქართულ სუფრაზე.

...

კარი ყველასთვის ჩემი ღიაა,
არ მიყვარს პოზირება და პოზა,
სიცოცხლე ჩემი პოეზიაა,
ცხოვრება კი, რა ვთქვა, პროზა!

ისევ ის ბავშვობა მინდა!

ჟამთა სვლას აქვს თვისება გააკეთილშობილოს დიდი ხნის წინანდელი გრძნობები და გატაცებები.

მზის სხივებით მიწა თბება,
იმოსება მთები,
კვლავ მოფრინდნენ ნება-ნება,
ლურჯი ოცნებები.

კვლავ მეწვია მზე და მთვარე
ყრმობა, შენთან ერთად,
მეწვია და დავიღვარე
სიხარულის ცრემლად.

მოჩანს ჩემი ეზო, ქუჩა,
სიყმაწვილე ჩემი,
დრო მიფრინავს, მე კი ურჩად
ბავშვობაში ვრჩები.

ვხედავ სახლის კიბეს, ნათოვს,
თეთრ ფანტელებს ციდან,
შენს ხელთათმანს, ლურჯად ნაქსოვს,
გხედავ შენც, ერთ ციდას.

თითქოს ღმერთმა დამაბრუნა,
მშობლის იმ ძველ სახლში,
იყო სითბო, იყო ზრუნვა,
სხვანაირი, მაშინ.

ვხედავ შენთვის დაკრეფილებს,
ცივ და მსუსხავ მარტში,

კონად შეკრულ ლამაზ იებს,
საოცნებოს, მაშინ.

მახსენდება, ყურს ვუგდებდით,
ჰანგებს ქუჩის თავში,
თურმე რა ტკბილი ყოფილა,
ის ჰანგები მაშინ.

გახსოვს, ერთად ვაცილებდით,
გემებს გაშლილ ზღვაში,
რა ლამაზები ყოფილა,
ის გემები მაშინ.

ის დრო დამდევს ფეხშიშველა,
დღისით, ღამით, დილით,
ვერაფერმა ვერ მიშველა,
სიხარულით ვტირი.

მანანები ცვივა ციდან,
მოვიშორე დარდი,
ისევ ის ბავშვობა მინდა,
ჩვენს გვერდით რომ დადის!

ღიად დარჩენილი იარა

შოვის ტრაგედიას ვუძღვნი 2023

თვალს ვუსწორებდით საუკუნეებს
და მხარში დედაბუნება გვედგა,
ავბედითობას, ჭირს და უკუნეთს,
ვებრძოდით, როგორც შეგვეძლო, ერთად.

მთა და ხეობა, კლდე და ღრანტები,
იქ, ვიწროებში, გვედგნენ დარაჯად,
დასამარებლად ქუხდნენ ზვავები -
ყველა მომხდურის დასამარებლად.

ვიცავდით ქლუხორს, ვიცავდით კოდორს,
ვიცავდით მედგრად ცასა და მიწას,
მტერს არ ვინდობდით - ვტოვებდით მხოლოდ
საყაენოში ამბავის მიმტანს.

ახლა რა ხდება?! დარდისგან ვდნები,
ვწუხვარ და მიკვირს, გამიგონ სწორად,
ჩვენი დამცველი ერთგული მთები,
რად გადაგვექცა სიკვდილის ზონად?!

გაუფერულდა ფიცი და სიტყვა,
იქნებ, რა ვთქვა და, მართლაცდა ვცოდავთ,
ბუნება ხედავს და მისი რისხვა,
ვწუხვარ, არ ინდობს ყმაწვილს თუ მხცოვანს.

რასაც დასთესავ, იმას მოიმკი,
სულ ამას ვამბობთ და სულ ეს გვესმის,
სად, როგორ ვივლით, რომელ ბილიკით,
წინ, გზად დაგვხვდება მადლი ან გესლი!

დიდ სიყვარულზე ვმღეროდით ოდით,
ის ხომ ჩვენში ზის, ის ხომ ჩვენია,
ჩონგურს სიმები დავუბათ, მოდით,
როგორც ყოველთვის, როგორც გვჩვევია.

ქალი და ქარი

აგვიშაირდა იმ დილით ქარი,
ის დღე არავის უქადდა ავდარს,
ამ დროს გამოჩნდი, მშვენება - ქალი
მარტო, პირისპირ, ავყია ქართან.

ჩამოგიწყვიტა თეთრი ღილები,
ფოთლებს გაყრიდა ქათქათა მხრებზე,
დაპარპაშებდა მუქარ-გინებით,
ქარი იმ დილით, იმ მტვრიან გზებზე.

სულს გიბურდნიდა მწარე სისინით,
გიჭერდა ყელში, გიკრავდა სუნთქვას,
და ავხორცული ხითხით-სიცილით
დამარტოვებას ცდილობდა ურცხვად.

გაგითამამდა, სადღაც მიყავდი,
ქარს მოტაცება უნდოდა ალბათ,
ქარი გებრძოდა, შენ თავს იცავდი,
მუხლებთან ხელით გეჭირა კაბა.

პრემიერაა დღეს ჩვენს ქალაქში

პრემიერაა დღეს ჩვენს ქალაქში,
მივყვები მაღლა თეატრის კიბეს,
მსახიობი თუ ხალხი დარბაზში,
ამ დღისთვის ყველა თავის როლს ირგებს.

ქალი თუ კაცი, ყველა კეკლუცობს,
თავს იწონებენ ძვირფას სამოსით,
მჭერმეტყველობენ, ზოგი ბრძენკაცობს,
უჩვეულოდ და რაღაც პათოსით.

ზოგი ვიღაცის იწყებს ძაგებას,
ზოგი გულუხვად მეზობელს აქებს,
ერთმანეთს როგორ
ჰგავს ის, რაც ხდება,
კულისებს იქით, კულისებს აქეთ.

ბრჭყვიალებს რამპა, ბობოქრობს სცენა,
ეშვება ფარდა ადრე თუ გვიან,
ვხედავ, თავის როლს თამაშობს ყველა,
და ამას ჩვენი ცხოვრება ჰქვია!

ესეც გაივლის! (სიბრძნე სოლომონისა)

ტაძრის გზის გარდა სხვა გზა არ მინდა,
ვიცი, აქ აფრას ღმერთი გამიშლის,
თუ ცა გამეხდა, თუ ზღვა აზვირთდა,
ღმერთის წყალობით, ესეც გაივლის...

ვივლი ბოლომდე, ვივლი მანამდე,
თებერვლის სუსხით და მზით მაისის,
ვიდრე არ მივალ ტაძრის კარამდე,
ტანჯვით, წვალებით, ესეც გაივლის...

ვიცი, ძნელია ამის ატანა,
როგორც თაკარა, ცხელი ივლისის,
სიყვარულია, ჩემო პატარავ?
არ მოიწყინო, ესეც გაივლის...

მუდამ გვათრობდეს, სანამ ვარსებობთ,
სურნელი პურის, მადლი მარილის,
და თუ გაბედეს შუღლი დათესონ,
არ გაბოროტდე, ესეც გაივლის...

და რომ მიგვიღებს ბოლოს უფალი,
სამოთხის კართან, რტოთი ყვავილის,
ცასა და მიწას მადლი უთხარი,
ვით ყველაფერი, ესეც გაივლის...

ძმობის ფიალა

ისევ ვათენებ ფიქრებში ღამეს,
სადღაც გამებნა ლექსის პწკარებიც,
სხვაა, ითვლიდე მომქანცველ წამებს,
მაგრამ სულ სხვაა, იგრძნო წამები.

იგრძნო სილაღე ცხოვრების გზებზე,
განსაცდელიც და თამაშიც ცეცხლთან,
სიცოცხლის ყველა გადაშლილ გვერდზე,
გადახლართული სიტკბო და სევდა.

ვიგრძნოთ სამყარო, ხელით შევეხოთ,
სიმებად იქცეს დიდი, პატარა,
ღმერთმა ქნას, ერთ დღეს მართლაც გვენახოს,
ამღერებული მთელი ქვეყანა.

მოდი, შევავსოთ ძმობის ფიალა,
გადავარჩინოთ სული გრძნეული,
თანაც, გვიყვარდეს ყველა კი არა,
ყველა კი არა, თითოეული!

მეგობრობა

ჩემი ხანჯლით და ნაბადით,
ჩემს ოცნებებთან ერთად,
სანამ ვარ, კუბოს კარამდი,
შენთან მიგულე, შენთან!

გვენახოს წვიმა, ქარი და
გვევლოს მთა-მინდორ-ველად,
ძმობილებივით ზღაპრიდან
„რწყილი და ჭიანჭველა“.

ერთგულებით და იმედით,
ისე გვეცხოვროს ყველას,
როგორც ცხოვრობენ ჩვენს გვერდით,
რწყილი და ჭიანჭველა.

ხიფათი აგვშორებოდეს,
მაგრამ მაინც თუ მოვა,
არასდროს დაგვჭირვებოდეს,
ღორისთვის ჯაგრის თხოვნა.

ოდით გვმოძღვრავდნენ: „ისწავლეთ!“,
ჩვენც ვსწავლობთ, თანაც სწორად,
ფეხმარდ რწყილისგან სისწრაფეს,
ჭიანჭველასგან შრომას.

სულ ქორწილებთან ვმოყვრობდეთ,
„ოდელა- დელი- დელა“
მეჯვარედ რწყილი გყოლოდეთ,
თამადად - ჭიანჭველა!

ამოუცნობი ღამე

ბინდდება, დგება ბურუსი ღამის,
ერთად გათქვეფა ცისა და მიწის,
და სიმარტოვის გრძელდება წამი,
ღამეს რომ უყვარს, ღამემ რომ იცის.

მზეც თითქოს კარგავს თავის სინაზეს,
წითლდება, თანაც დამალვას ლამობს,
რცხვენია, იქნებ, დედამიწაზე
ერთად ამდენი ნანახის გამო.

თვალს ეფარება ყველა არსება,
ყველა თავთავისს ეძებს სამალავს,
მე კი ვფხიზლობ და სხვა რამ არ მრჩება,
გარდა ფიქრების დავრჩე ამარა.

ღამემ წაშალა ცის ყველა სხივი,
მეც ბედს დავნებდი და ჩუმად ვდარდობ,
თითქოს ცოდვები ჩემი და სხვისი,
ჩემს სასთუმალთან ვიღაცამ დადო.

ო, ღამევ, ვიყო ასე სანამდე,
ვერ გამიგია, ვინა ხარ, ვერა,
ვისთვის ხარ ტრფობის მშვიდი სავანე,
ვისთვის კი, მწუხრის, ფიქრების კერა.

ღამევ! ხარ ჩვენი სიზმრების მეფეც,
სულის ხან შფოთვა, ხან კი სინაზე,
თენდება, ვხედავ ცის ნათელ ფერებს,
და შენ რომ არა, რაა სინათლე...

დილა ღამეს კვლავ ბეჭებზე დადებს,
ასე ყოველდღე და ღმერთს მადლობა!
მადლობა მას, რომ თანდათან გვაჩვევს,
მარადიული ღამის დადგომას.

ასეა, ბოლოს ბედი თავისას
დაგვინაწილებს, ღირსნი ვართ რისიც,
მანამ კი, მინდა ისე დავიწვა,
არ დარჩეს ცოდვა, ჩემიც და სხვისიც!

იმ წუთებისთვის!

თეთრად დაზამთრდა თმებში ჭაღარა,
ტარება ჯვარის თითქოსდა მიმძიმს,
იმ დიდ სიყვარულს, იმ მზეს თაკარას,
ორჯერ ვერ ვნახავ, ეს კარგად ვიცი.

ახლა თავს გიხრი, კრძალვით, შორიდან,
ბევრის მნახველი და ფრთაგაშლილი,
ისევ ისა ვარ, ისევ ხვალიდან,
ახალ ცხოვრებას ვიწყებ ბავშვივით.

ასე ვცხოვრობდი მადლით და ღმერთით,
ვცხოვრობდი, ალბათ, უფრო სხვებისთვის,
შენთან მადლობის მეტი რა მეთქმის,
იმ წუთებისთვის, იმ წუთებისთვის!

სუფთა ხელები

„სიცოცხლე იზომება იმით კი არა,
რამდენჯერ ჩაისუნთქავ და ამოისუნთქავ,
არამედ - რამდენჯერ შეგეკვრება სუნთქვა“.
ტოლსტოი

არ მსურს ნამდვილად ხოხვა მიწაზე,
არც ცამდე ვნატრობ ასვლას,
ვაითუ, ვენდო მაცდურ სიმაღლეს
და მზემ დამთუთქოს, დამწვას.

მინდა ვქარგავდე ლამაზ ირაოს
ცასა და მიწას შუა,
თანაც, ვეცადო არ დამიღამოს
ცა, მიწიერმა შურმა.

სადაც ვკვდებოდე, იქ კვლავ ვდგებოდე,
მესმოდეს ზარი დილის,
არასდროს ხავსი არ მოდებოდეს
ერთხელ გაკვალულ ბილიკს.

დასაბამიდან ამ ქვეყანაზე,
ვწუხვარ, ხელი ხელს ბანდა,
მე კი სხვას არას შემოგთავაზებ
სუფთა ხელების გარდა.

ისე ვიცხოვრო, წვალებით, თუნდაც
ისე ინებოს ღმერთმა,
რომ წამით მაინც შეუკრას სუნთქვა
ვინმეს, ამ ჩემმა ლექსმა!

თავად მოვა

თეთრად ყვავილობს ტყეში ხეები,
ისმის ჩუხჩუხი წყაროს,
ტყეს მოეფერე, ნუ შეეხები,
ის თავისთავად ხარობს!

აღარ თენდება, ვაღებ დარაბებს,
ბოლო არ უჩანს ლოდინს,
დილა სიბნელეს მაინც ამარცხებს,
სინათლე თავად მოდის.

ველ-მინდვრებს ამკობს თეთრი ღიღილო,
ზამთრად ფანტელის თოვა,
შენ ბოროტება არ ჩაიდინო,
სიკეთე თავად მოვა.

ცხოვრება გვებრძვის, გვაბნევს, გვაოცებს,
იყო ლხინი ან გლოვა...
მიწა აკურთხე, ზეცა დალოცე,
სიკეთე თავად მოვა!

აისიდან დაისამდე

ვერ ვისვენებ, ჩემზე უთქვამთ -
ბეწვის ხიდზე გამივლია,
მერამდენე მოდის სუნთქვა,
არ ვიცი, არ დამითვლია...

დღეს კვლავ ვეტრფი ცისკრის ვარსკვლავს,
ამაოდ არ გავისარჯე,
ისევ შევქმნი, შევქმნი ათმაგს
აისიდან დაისამდე!

სინანული

ვერა და ვერ ვივიწყებ
შენს სიტყვებს, როცა შემხვდი:
„მესტუმრე, თუ არ მიწყენ,
გამოიარე ერთი“.

წყდება სიცოცხლის კიბე,
წყდება სიცოცხლის მარში,
ვფიქრობ კიდევ და კიდევ,
რად არ გესტუმრე მაშინ...

ჩამომეღვენთა ცრემლი,
გარდასულ დღეებს ვნატრობ,
ერთი ცოდვილი მრევლი
დავრჩი უფალთან მარტო.

სულს შვება მივცე იქნებ,
იქნებ ავენთო სანთლად,
და მერამდენედ ვიწყებ
დროის თავიდან ათვლას.

წლებმა შეგვცვალა თითქოს,
ეს ასე ხდება, ვიცი,
გაქრა ის ძველი სითბო,
გაქრა ბავშვური ფიცი.

ზოგი წავიდა ჩვენგან,
ზოგს კი ხანდახან ვხვდები,
მიმოიფანტნენ ყველგან
კლასელი მეგობრები.

მოდი, ვესტუმროთ ყველას,
ნინოს, გიორგის, ზვიადს,
სანამ სიცოცხლე ელავს,
სანამ არ არის გვიან.

ექიმ კახა შარაშიძეს

ვერ გამიგია, რა ხდება,
რა სასწაულებს ახდენ,
ერთი კაცი ხარ სახელად,
როგორ ახერხებ ამდენს?!

ციმციმებს მაგ შენს ხელებში,
ათასი ნატვრის თვალი,
ვწევარ და ნაირფერებში,
სიზმრად მგონია თავი.

ზღაპარი არაფერია,
მოდის იმგვარი განცდა,
ვხედავ ღმერთსა და ფერიას,
ვხედავ სამოთხის ფარდას.

ესაა შენი ტრიუმფი,
შენი ბრწყინვალე სოლო,
ჩვენი კი, ამქვეყნიური,
შუქი გვირაბის ბოლოს!

ასე გეცხოვროს ბოლომდე,
ქება შენს დღეს და ხვალეს,
ქება ახდენილ ოცნებებს,
ქება ახელილ თვალებს!

გაფრენილი წლები

ტყუპებს (ზოდიაქოს ნიშნით)

როგორც ქარში ქუჩის მტვერი,
როგორც დახლის წვრილი ხურდა,
გაფანტული ძველი წლები,
ყველა უკან დამიბრუნდა!

დამიმძიმდა თითქოს მხრები,
არც კარგად ვარ და არც ცუდად,
გაფრენილი ოცნებები,
ისევ უკან დამიბრუნდა.

ვით ფრინველთა გრძელი მწკრივი,
მომყვებიან წლები გუნდად,
აკინძული, როგორც მძივი,
ყველა უკან დამიბრუნდა.

ზოგი ლურჯი, ზოგი თეთრი,
ზოგი უკვე გამიხუნდა,
და მათ შორის არაერთი
უკან ტვირთად დამიბრუნდა.

ზოგი უკვე მოვიშორე,
როგორც კედლის აბლაბუდა,
ზოგი ძალუმ მოვისროლე,
მაინც უკან დამიბრუნდა.

ხან ჩქარი, ხან ძალზე ფრთხილი,
ვაკეთებდი, რაც არ მსურდა,
აბა, წლები აქოჩრილი
უკან რატომ დამიბრუნდა?!

ალბათ ჩემში ორი ვინმე,
ორი ვინმე გულთმისანობს,
ერთი ამბობს - „იმოქმედე!“
მეორე კი - „ნუ იზამო!“

ვერ გაუგებ ბედის ტრიალს,
ბევრი რამ ვერ მოვასწარი.
წლები ვისთვის სიმდიდრეა,
ვისთვის კიდევ ხარკი, ვალი...

ქალმა ეშხით შემომხედა

გაზაფხულის დილა იდგა,
მზის ზეიმი, ცეკვა ფერთა,
მივყვებოდი ხეივანს და
ჩუმ ოცნებებს და ჩუმ სევდას...
მზეს კიდევ მზე დაემატა
-ალმა დამკრა, გამახურა,
ქალმა ეშხით შემომხედა,
გაკვრით, წამით, უნებურად.
ჩამიარა, ჩამიქროლა,
მე კი ჩემი დამემართა,
არაფერი დამიტოვა,
იმ თვალების ცეცხლის გარდა.
გადაფარა დროის ტალღამ
იმ მაისის თბილი დილა,
რომ ვიხსენებ იმ წამს ახლა,
დაბადება ისევ მინდა!
ისევ ქრება ყველა სევდა,
ყველა დარდი, ყველა ურვა,
-თურმე ქალმა შემომხედა,
ეშხით, წამით, უნებურად!

აფხაზეთი

რა ხანია გადავფრუცლეთ,
ომების და მტრობის გვერდი,
მეგობრობის ხარობს ფუძე,
ამ მიწაზე არა ერთი.
მაგრამ, ვაგლახ! უჩინარი
ქარბობალა დატრიალდა,
ახელილი ბილწი თვალი,
იმ მეორედ მოსვლას ჰგავდა.
ეშმა ისევ მოძუნძულდა,
გაგვიჩერა ხვნა და თესვა,
რა სატანამ გვაიძულა
ხელმეორედ ხმლის ალესვა?!
არ გვაკმარა, ნუთუ, ბედმა,
კაცის კვლა და ქალის წყევლა?
ფუძევ, ეს ვინ გაგიბედა
ამოთხრა და ამორწყევა!
მაგრამ ღმერთმა გადმოგვხედა,
ჩარხი წაღმა ბრუნვას იწყებს,
გატყდეს ციხე - არ მოხდება,
ის, რაც მოხდა, დაივიწყე!
სულ ბოლომდე დაგვეცალოს
კიდევ ბევრჯერ ძმობის ჭიქა,
ლხინი აქა, ლხინი იქა,
ფქვილი აქა, ფქვილი იქა...

ბათუმს

ამას ველოდი და, ჰა, მოვედი,
თან მომყვებოდა მზე და ავდარი,
და სიყვარული იყო ყოველთვის,
ჩემი ხატი და ჩემი საყდარი.
ბედის ძიებამ, ცხელმა გონებამ,
სად არ მატარა, სად არ ვიარე,
შენზე ოცნება და მოგონება,
იქ მიშუშებდა ჩემს ძველ იარებს.
ისევ შენთან ვარ, ჩემო ბათუმო!
შენი ღირსებით, შენი სახელით,
ჩემი ძალა ხარ, თან უსასრულო,
თავად ათასი ჭირის მნახველი.
ვხედავ შენს თავზე ახალ ჩუქურთმებს,
უფრო გაზრდილო, უფრო ტანადო,
ნუ მიწყენ, ზოგჯერ ვერ ვცნობ შენს ქუჩებს,
ვფიცავ, არასდროს არ გიღალატო.
წარსულს ჩაბარდა ბართლომეს ღამე,
შულლი წარსულში შფოთავს და გმინავს
და თუ არსებობს სიკეთე სადმე,
აქ არის მისი კერაც და ბინაც.
მეც მინდა ვიყო დღეს ამ უდიდეს,
ნათელი სახლის ერთი გუშაგი,
ხშირად მადლობას ერთად ვუთვლიდეთ,
ყველა მოწამეს, აბოს, შუშანიკს.
ვიყო ამ მიწის, ამ ზღვის და ამ ცის,
დიდი ოჯახის, კვლავაც და კვლავაც,
ისე გვეცხოვროს - ნამდვილი კაცი
არ მოკლებოდეს პატარა ქალაქს!

...

საპატიო ბათუმელს, აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს, ბათუმის სამხატვრო სკოლის დირექტორს ბ-ნ გურამ ფუტკარაძეს.

ტყე შრიალებს, ჩიტი გალობს,
ვარდი ირგებს წითელ კაბას,
შენ კი ფუნჯით დირიჟორობ,
ბუნების ამ დიად ანსამბლს!
ნეტავ, ადრე შეგხვედროდი,
ჩამომერთვა ძმობის ხელი,
არ ვიცი, ვინ ვიქნებოდი
- მხატვარი თუ ლექსის მთქმელი?!
თუმც, ორივე ლირიკაა,
გულის ფეთქვა - კარგად ვიცი,
ლექსს ვკითხულობ, ნახატებს ვქმნი,
ნახატს ვუცქერ - ლექსში ვიწვი.
მცველად გყავდეს მწვანე მთები,
გზა - შენს ნიჭს და შენს გულს ხალასს,
დე, ასეთი რაინდები
ამშვენებდეს რაინდ ქალაქს!

ერთი ნახვით შეყვარება

სულ ვეძებდი, ვერ ვიხილე,
ბედია თუ უფლის ნება,
მუზაა თუ სინამდვილე,
ერთი ნახვით შეყვარება?
სულ ვნატრობდი, არ მეღირსა
საოცრება, ლტოლვა, ვნება,
ნეტა მეგრძნო, თუნდაც სიზმრად,
ერთი ნახვით შეყვარება.
მაგრამ იმ დღეს უთენია,
თითქოს ვარდი მეწვა მკლავთან,
არ მინახავს, არც მსმენია,
ავდექი და შემიყვარდა.
უჩვეულო გრძნობა მოდის,
სასწაული დამემართა,
არც მსმენია, არც ველოდი,
სიყვარული შემიყვარდა...

ნატვრა

გული სივდება, სული კნინდება,
სადახლოდ იქცა მთელი ქვეყანა,
ეს იყიდება, ის იყიდება,
ეს რა სენი და ზნე შეგვეყარა...
ხმალი არ არის მოდაში ახლა,
უცხო, დოლარით იპყრობს ნაპირებს,
ცას, მიწას ჰყიდი დამდგარი დახლთან,
ნაცვლად რის ყიდვას, ნეტა, აპირებ?
მწარედ ხარხარებს კუპრში კაენი,
ნიშნს გვიგებს ცოდვით სავსე ადამიც,
აუქციონზე გააქვთ ჰაერი,
ორი, ერთი, და გათავდა წამიც...
არ ვნატრობ არც ფულს და არც დიდებას,
რა ვუყოთ ამდენ ხინჯს და ქიმერას,
ჩემს ქვეყანაში იქნებ პირველად
გვითხრან ეს სიტყვა: „არ იყიდება“...

ნოსტალგია

მოგონებები იმ დღეს მეახლა,
იმ დღესვე შეგვხვდი სიყრმის მეგობარს,
საკვირველება! თითქოს ხელახლა
ბიჭად ვიქეცი, ასე მეგონა.
ისევ მომინდა ბურთის თამაში,
გაკვეთილების მომინდა სწავლა,
საყვარელ ქუჩით გავლა ქალაქში,
კიდევ, ორშაბათს კინოში წასვლა.

ერთად თავშეყრა სკოლაში დილით,
ვერ ვიოკებდით ბავშვურ ქარიზმებს,
სიმართლეს ვთესდით, სიკეთეს ვმკიდით,
ახლა ვსაუბრობთ ფინჯან ჩაიზე.
სიცოცხლე ჩქეფდა ნაირფერადა,
ციდან ოცნების ვარსკვლავებს ვხსნიდით,
სკოლის ჩანთებში ხშირად გველაგა
„გრაფ მონტე კრისტო“ და მაინ რიდი.
არ ვიკარებდით ფლიდს და ლაქიას,
წიგნები იყო ჩვენი მეგზური,
რამდენჯერ, გახსოვს, დაგვინახია,
ზღვაში კაპიტან გრანტის კუნძული.
გახსოვს? ჯუნგლების მეფე ტარზანი,
სასწაულებით სავსე აფრიკა,
ის სიჭაბუკე, როგორც ზღაპარი
როგორც სიზმარი, გაქრა, გაფრინდა.
როგორ გვიყვარდა თავგადადებით,
მე და შენ ერთი ციცქნა გოგონა,
არ გვიშუღლია, ლექსებს ვანთებდით,
და თან სამყარო ჩვენი გვეგონა.
გაელვარება ახალგაზრდობის,
ნათელი სხივი სკოლის კარიდან,
ვერ წარმოიდგენ, რას არ დავთმობდი,
რომ ყველაფერი მოხდეს თავიდან?!

მამის წუხილი

დედა გახდი, გაგეზარდა შვილები,
ჩემთვის, ალბათ, უკვე აღარ გცალია,
არას ვიტყვი, გავჩუმდები, გპირდები,
მაგრამ რა ვქნა? მენატრები ძალიან!
ვიხსენებ შენ ფეხის ადგმას, სიარულს,
ზღაპარ-ზღაპარ თამაშსა და გართობას,
შენს ბავშვობას, უდარდელს და მხიარულს,
ჩემს ღვთის ნობათს, ჩემს შობას და აღდგომას!
დღეებს ვითვლი მერამდენედ თავიდან,
მოსვენება არ იქნა, არ მეღირსა,
მომენატრე, თუმც ჯერ თვეც არ გავიდა,
მომენატრა კართან შენი ფეხის ხმა.
ასე იჯდა მამაჩემიც გზის ბოლოს,
ჩემს ლოდინში გადაღლილი თვალებით,
სულ ასეა, არ გვასვენებს არასდროს,
ორ წვეთივით ერთნაირი განცდები...
მომეძალა ულმობელი ჭაღარა,
დამიგროვდა დაწყვეტილი ღილები,
რომ გაიგებ, ერთ დღეს უკვე აღარ ვარ,
მზრუნველ შვილად უფრო მომევლინები.

როგორც იმედი და მონატრება

შენს წინ ვიდექი ფარ-ხმალ აყრილი,
დატყვევებული ლურჯი თვალებით,
უკან ვმალავდი ხელებს ბალღივით,
სიტყვებს ვეძებდი დიდხანს წვალებით.
თითქოს დაბრუნდა ის ჟრუანტელი
სულსა და გულს რომ ერთ დროს წიწკნიდა,
ჰაეროვანი მოგონებები
ჩემი ცხოვრების გაშლილ წიგნიდან.
ისევ მეწვია ტკბილი ალმური,
უცებ ამჩატდა წლების სიმძიმე,
მას მერე იმ დღის, იმ სიხარულის,
იმ სიხარულის გრძნობით ვიძინებ.
ეს გრძნობა თურმე არსად წასულა,
მეწვია ისევ გულის სიღრმიდან,
მოყვრად, მეგობრად, შენთვის სათუთად,
იგი ჩემში ზის დასაბამიდან.
იგი ჩვენში ზის, როგორც ბუდეში,
გამზადებული ამოსაფრენად
და თავს გვახსენებს, როგორც ნუგეში,
როგორც იმედი და მონატრება.

ბალადა ძაღლზე

დღე იყო თბილი, მზიანი, კარგი,
თავს იწონებდა ბაღი სიმწვანით,
იმოსებოდა ზღვისპირა პარკი
ჩვეულებრივი ზეიმისათვის.
იყო ხალისი, გულახდილობა,
ხალხის ერთობა, კისკის-სიცილი,
ამდროს კი მათთან მისვლას ცდილობდა
ძაღლი შავ-თეთრა, კუდის ქიცინით.
ხალხისგან სითბოს, ზრუნვას ელოდა,
ყელზე ეკეთა საყელო ფართო,
ეძებდა მოყვასს, კაცს და მეგობარს,
ეძებდა, ალბათ, დაკარგულ პატრონს.
ხან იწვა, ხან კი წამოჯდებოდა,
თვალს აყოლებდა უკლებლივ ყველას,
ხალხი თავის გზას მიუყვებოდა,
ძაღლს იშორებდნენ გულგრილად, ნელა.
ის კი თვალებით, მხოლოდ თვალებით,
ეუბნებოდა მათ, თუმც ამაოდ,
ეუბნებოდა თითქოს დარცხვენით
„მე ის არა ვარ, მე სულ სხვა ვარო!
მე სწორედ ის ვარ, ვინც თქვენს პატარებს
ახალისებდა ხტუნვა-თამაშით,
ვინც ცივ ღამეებს თეთრად ატარებს
სოფლად, ჭიშკართან, თუ დიდ ქალაქში.
უცხო არა ვარ, მე სწორედ ის ვარ,
ერთგულება რომ სხვებსაც ვასწავლე.
ის, ვინც ეწამა და მონად იქცა
ადამიანთა მრავალ საფლავზე.

ბევრი ქვებს გვესვრის, ბევრი კი გვჩაგრავს,
სულის ძრომამდე მოგვშიებია,
სულ მაწანწალას გვეძახდნენ, მაგრამ
სიბრაზე გულს არ გაგვკარებია“
მისეირნობდა მავანთა ტალღა,
თან მიყვებოდა მხიარულება,
თან თეთრი ძაღლი და შავი ლაქა
და წუთისოფლის ამაოება.
ასე დღედაღამ, ასე ყოველდღე,
სევდიანი და დიდი თვალებით
ეძებდა პატრონს, კაცს და მოკეთეს,
თუმც ფუჭად, ძაღლი, შავი ლაქებით...
იმ დილით სკვერებს ბრგე მეეზოვე
დატრიალებდა, თანაც ჩქარობდა,
ჩქარობდა, რათა პირთ აღეგავა
ღამის ცოდვა და არარაობა.
უცებ შეკრთა და ენა დაება,
ჩამოუცვივდა მძიმე მკლავები
-ბუჩქთან, უსულოდ იწვა არსება,
არსება თეთრი, შავი ლაქებით.

ღამის შუქ-ჩრდილები

ღამდება და მზეს ჩუმად ვაცილებთ,
ხმაური ირგვლივ თანდათან იკლებს,
ვწვები და სასთუმალს ვუნაწილებ
მთელი დღის შფოთს და მომქანცველ ფიქრებს.
დაღლილი გული, დაღლილი ხელი,
ქუჩა იშუშებს კვლავ დღის იარებს,
და კვლავ იხუტებს ფარდული ძველი,
დღის ნაჯაფ-ნატანჯ-ნალოლიავებს.
ზღვა კი ციმციმებს ნაირფერებად,
ხელახლა იკრებს ბუნება ძალას,
რული ერევა, ბანგი ერევა,
სანაპიროზე გაწოლილ ქალაქს.
მხოლოდ ესაა, რა ვქნა, რა ვუყო,
კვლავ მიიჩქარის ქუჩის მკრთალ შუქში,
ღამის კლუბისკენ ბიჭი უმანკო,
შინისკენ ქალი, წამლიან შუშით.
თითქოს სიმშვიდეც, აი, მოვიდა
და ჩაიარაზა ყველა კარები,
არ იკეტება მხოლოდ ორი რამ
- ღამის კლუბი და აფთიაქები.

ცხოვრების მარათონი

მინელდა გულის ფეთქვა,
შემომაღამდა გზაში,
როგორ მინდოდა მეთქვა,
რაც ვერ გითხარი მაშინ...
დღე დღეს არა ჰგავს ჩვეულს,
სულ მივიჩქარი სადღაც,
ვგავარ მგზავრს, მარტოს, ეულს
შემორჩენილი ბაქანს.
ბოლო არ უჩანს, არა,
ამ მოუსვენარ აზრებს,
ვჩქარობ, სულ ვჩქარობ, მაგრამ
მაინც წამები მასწრებს.
ვიღაცას ვუხდი ბოდიშს,
ვიღაც, რატომღაც მაქებს,
როდის დავაღწევ, როდის,
თავს ამ აბსურდულ აზრებს.
რაღაც სულ მინდა მეტად,
რაღაც სულ მინდა ნაკლებ,
ეჰ, მაპოვნინა, ნეტა,
ის გზა, დღეს რომ ვერ ვაგნებ.
ვივლი, დღე და ღამ ვივლი,
და გზაში კარვებს გავშლი,
თუნდ დედამიწის ირგვლივ,
თოვლში, წვიმაში, ქარში.
მაგრამ, ო, ვიცი ზუსტად,
მეც ვიტყვი იმ ჩემს სოლოს,
ეს გზა, კარგად თუ ცუდად
შენთან მომიყვანს ბოლოს...

ქება მზეს!

ზრუნვით დაგვყურებ სადღაც ზემოდან,
შენა ხარ ჩვენი სითბოც, სინათლეც,
შენს მწველ სხივებში იხვეწებოდა,
ჩვენი კაცობა, ჩვენი სიმართლე.
შენთან თამაში, ალერსი მახსოვს,
სითბო, სინაზე შენგან ვისწავლე,
თუმც ძალზე შორს ხარ, მაინც ხარ ახლოს,
როგორც არსად, ამ დედამიწაზე.
სამშობლოს ცაზე, მხოლოდ იმისთვის,
რომ იკაშკაშო ხელებგაშლილმა,
რომ იშრიალოს მუხამ, ვინ იცის,
ქვეყნად რამდენი სისხლი დაღვრილა.
ჭიქა მიჭირავს, სავსე ცრემლებით,
შენი და ვაზის, შენიც, იცოდე,
მე გალაკტიონს დავესესხები:
უსიყვარულოდ რაა სიცოცხლე...
ჰოდა, შენა ხარ ლოცვა-ვედრება,
სიყვარულიც და სიცოცხლეც ერთად,
შენით დაიწყო, შენით გრძელდება
სიყვარულის და სიცოცხლის ფეთქვა.
მე გალაკტიონს დავესესხები,
უსიყვარულოდ ვერ ვითამადებ,
მას გაუმარჯოს, მას, ვინც მზესავით,
კიდეც იწვის კიდეც ანათებს!

დედ-მამის სახლი

ნიგოითი, აპრილი, 2012 წ.

ვიგრძენ თქვენი გულის ცემა,
მესმის თქვენი ლოცვა,
მოვასწარი შეღამებას,
აქ, თქვენს სახლში მოსვლა,
მაგრამ რა ვქნა, განა მინდა?
გულზე მადევს ლოდად,
დაკეტილი ჭიშკარი და
დაკეტილი ოდა...
ვდგავარ ჩემთვის, დაზაფრული
სიჩუმით და ბინდით,
მერამდენე გაზაფხული,
აქ, უთქვენოდ, მიდის.
მერამდენედ ტირის ვაზი,
ნატრობს ნაჩვევ ხელებს,
შვენის თეთრად დაბრძენება
აკაციის ხეებს...
მერამდენედ იფურჩქნება,
ატამი და თუთა,
ამათ ჩემი მწუხარება,
აბა, როგორ ვუთხრა?...
მძიმე ხავსი მოსდებია
კიბეს, არემარეს,
ღობეს წაჩოქილს, სევდიანს,
ვერ ვუსწორებ თვალებს.
მივალ, ვეტყვი ჩემს კაეშანს,
ბევრის მნახველ ღელეს,
დავჯდებით და ტკბილ ბავშვობას
ერთად გავიხსენებთ.

გავიხსენებ რთველს და ზეიმს,
ყურძნობამ რომ იცის,
საწნახელში ზღაპრულ ფერებს,
მზის და ოქროს ციმციმს.
ვუსმენ სადღაც ურმის ჭრიალს,
ვუსმენ გულის ძგერას,
რა ვქნა, ბედის ასეთ ტრიალს,
ვერ გავუგებ, ვერა...
სხივი ადგას თქვენს ძველ ლოგინს,
შვება იგრძნო სულმა,
ბუხრის თავზე შემოდებულს,
ვუცქერ ძვირფას სურათს.
ვუცქერ, თავს ვგრძნობ ბედნიერად,
სიზმრად გხედავთ ხშირად,
გხედავთ ისევ იმ მშობლებად,
ჩემს თავს - ჭაბუკ შვილად.
სახლი, კარი, დიდი თხემლა,
მოწყენილი მდელო,
მიდევს წინ გაყინულ ცრემლად,
როგორ მოვინელო?!
ღმერთო ჩემო, რა გაუძლებს,
გაციებულ სახნისს,
ფერფლად ქცეულ ნათელ გულებს,
გადაკეტილ სახლებს.
დაე, იყოს ღია კარი,
როგორც მუდამ იყო,
თქვენი ფუძე, თქვენი კვალი
მეფერება, მიხმობს.
ვინც სიყვარულს დაატარებს,
ლოცვას ვუთვლი ულევს,
ლოცვა ჩემი გახსნილ კარებს,
ლოცვა გახსნილ გულებს!

შენთვის

დილამ მინდვრები ვერცხლით დანამა,
სინათლე ბნელეთს ებრძვის,
მზე ამოგორდა, ამოანათა,
ეს მზე ანათებს შენთვის!
ენძელა იას მორცხვად უღიმის:
-ეს რა ლამაზი ხარო?
ვაზს გაზაფხულის ყლორტი უღვივის,
ეს ვაზი შენთვის ხარობს...
ცისკრის ლაჟვარდმა გაფანტა ნისლი,
სითბო ნუ მოგვეშალოს,
ტყეში ჩიტების გალობა ისმის,
ის ჩიტი შენთვის გალობს.
სულ რითმებს ვეძებ, ვიწვი, ვცოდვილობ
და ლექსს ავანთებ ბოლოს,
თუ ის ანთია, ცოცხლობს, ძმობილო,
ის ლექსი შენთვის ცოცხლობს...
თუ კვლავ გაისმა, შემოჰკრეს ზარი,
ზარი, გამწვდომი ზეცას,
ყური დაუგდე, გააღე კარი,
ის ზარი შენთვის რეკავს!

ᲨᲝᲗᲐ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔᲡ, 2000 ᲬᲔᲚᲘ

ეს დრო მოვიდა, ეს დღეც დაგვიდგა,
მივჩერებივართ სანუკვარ ეკრანს,
მადლობას გითვლი, გითვლი შორიდან,
აქედან, შვილიშვილებთან ერთად.
შენა ხარ მათი ნატვრაც და ფიქრიც,
მინდორში ფეხის პირველად გასმა,
მათი ბავშვური პირველი ფინტი,
მათი პირველად სკოლაში წასვლა.
ჩუმად ოცნებობს, ნამდვილად ვიცი,
ასეთი ბევრი, პატარა ბიჭი,
ასე ინთება და ასე იწვის
ქართული სული, ქართული ნიჭი.
გამარჯვებების, დე, ჟღერდეს მარში,
სადაც ვართ, მაგრად გაგვედგას ფესვი,
უცხოეთს შენთვის დაკრული ტაში
აქ ყველას გვწვდება, აქ ყველას გვესმის.
მალე გვენახო მშობლიურ სახლში,
და ტრიბუნები ხალხს ვერ იტევდეს,
და უკვე ჩვენი, ქართული ტაში
მსოფლიოს ძრავდეს კიდით კიდემდე!

ცუდი სიზმარი

ცხოვრება არასდროს არ მასვენებს და
კითხვის ნიშანს დღედაღამ მისვამს,
ახლაც ვზივარ და მძიმედ ვიხსენებ
ღამის უცნაურ, სევდიან სიზმარს.
ვიხსენებ, აი, ვდგავარ კვარცხლბეკზე,
ისმის მუსიკა ზარ-ზეიმების,
თითქოს მოვიმკე ის, რაც დავთესე,
საკმაოდ რთულად გავლილი გზებით.
გარს მახვევია მავანთა გუნდი,
ფარისევლობენ, მეც, რა ვქნა, ვუსმენ,
ასე მგონია, კაცური ქუდი
აღარ ამშვენებს არავის უკვე.
ამ დროს ბოგინობს მიწა ცოდვილი,
ვიღაც კვლავ ელის ახალ მესიას,
ვიღაც სკამს იცვლის ცხვირსახოცივით,
ვიღაც - აბებზე თავის პენსიას.
ვიღაც ხელმწიფის ხდება მრჩეველი,
ბოგანო - გუბერნატორი გახდა,
ამ დროს მხცოვანი მასწავლებელი
ძველმანებს ყიდის, დამდგარი დახლთან.
გვარიშვილობა, ვერცხლი, ქარვასლა,
ხალხი დაიყო თითქოს კლასებად,
რაც ჩვენში ერთხელ უკვე დაფასდა,
ზოგ - ზოგი ცდილობს გადაფასებას.
ვიღაცეებმა ფული იშოვეს,
არ ღალატობენ ძველებურ ჩვევებს,
უკან მომდევენ და ვერ ვიშორებ
ბოშა ბავშვების გაშვერილ ხელებს.

ვიღაც ხაბაზობს, ვიღაც ხარაზობს,
ვიღაც უკუღმა აჭედებს ლურსმნებს,
მე კი არაფერს არვის ვთავაზობ,
ამას ყველაფერს, ვაგლახ! კვლავ ვუსმენ...

ოდა ყვავილს

მწვანე მინდორს სხივი ამკობს,
მზე დედოფლობს მთაში, ბარში,
ძნელია, არ დაიკარგო
ყვავილების ქვეყანაში.
სულ პირველად შენთან მოვალ,
მოგეხვევი, ჩუმად გეტყვი:
უცნაური ყვავილი ხარ,
ზოგს აბრუებ, ზოგს კი ეტრფი.
ველარ იტევს სითბოს ამდენს,
ნეტარებით სავსე გული,
ვინ მობრძანდა, ნეტა, ადრე,
მიმოზა თუ გაზაფხული?!
ჰოდა, ყველა შენი მოსვლა
ზეიმია დიდი, ვიცი,
მოხვალ, ქუჩებს შეგვიმოსავ,
ხელს ფანჯრიდან გამოგიწვდი.
შენთან ერთად მოვლენ სხვებიც,
გათოშილნი ზამთრის გზებზე,
სიმბოლო ხარ გამარჯვების,
სიცივეზე, სიბნელეზე.
საერთო გვაქვს შენთან ბევრი,

სიუხვითაც ტოლები ვართ,
დახუნძლული ჩვენი წლები,
შინი ღიღილოებია.
ღმერთის ძალამ ჩვენთან ერთად
მოგიყვანა, შეგიფარა,
უკვდავების ხე ხარ ქვეყნად,
თან, ყვავილი სიფრიფანა.

იყვავილე, დიდხანს, დიდხანს,
სიყვარულით ერთსაც გეტყვი:
ჭირვეული ქალივით ხარ,
ზოგჯერ გვსუსხავ,
ზოგჯერ გვეტრფი.

ოჯახური იდილია

პეპლებივით გაგვიფრინდა
საარაკო, ლურჯი წლები,
ღვთით ნაბოძი ტვირთი ხარ და
ტვირთით ვდგები, ტვირთით ვწვები.
ასე მივალ აღმართ-აღმართ,
მიმჩატდება თითქოს მხრები,
ამიხსენი, ამ დროს თავად
ტვირთი ხარ თუ ჩიტის ფრთები.?
სულ კეკლუცობ, სულ იცვლები,
მეჩვენება, სხვა ხარ თითქოს,
ხან მსახიობს ემსგავსები,
ხან გამოცდილ პოლიტიკოსს.
ხან, ბავშვური ხიბლი დაგდევს,

ხან, ბრძენი ხარ დავითივით,
თუმცა, მწარეს რომ მომართმევ,
ზოგჯერ გავიწყდება ტკბილი.
ხან ვზივარ და მოთმინებით,
ვუსმენ იმ შენს ქალურ სოლოს,
კაპასობ და მეუბნები,
ამ დროს გლოცავ, სულელოო...
ჭირით, ლხინით, გვერდი - გვერდით,
კიდევ დიდხანს, დიდხანს ვივლით,
ვის ჰქონია გზა ვარდებით,
ჩვენ რომ გვქონდეს მოფენილი.

სიკეთის თესლი

ცხოვრება, ვხედავ, გამიწელია,
ისევ ისა ვარ და ღმერთს მადლობა!
არ მქონდა ჩვევად, არც მიწერია
დღეების თვლა და ბედოვლათობა.
ავდგები დილით ხალისიანად,
დავიკაპიწებ ორთავ სახელოს,
ხეს დავრგავ დიდი სითბოთი კვლავაც,
რომ შვილიშვილი ზრუნვით შეეხოს.
შეეხოს, შეკრთეს, ჩამუხლდეს მშვიდად,
თვალთცრემლიანმა დამლოცოს იქნებ,
აიღოს თესლი ჩემს დარგულ ხიდან,
და დაჰკრას ბარი, ეზოში, იქვე.

ქალი და ვარდი

ამას ამბობდნენ დასაბამიდან
„ეძიე ქალი“, მაგრამ რომელი?
ქალი - ნახატი მხატვრის ყალმითა,
ქალი მეუღლე, ქალი მშობელი.
ქალი - თამარი, ქალი - ქეთევან,
ჩვენი სიცოცხლის ძალა და ეშხი,
ვხარობ, ქუჩებში ველარ ეტევა
ამდენი ქალი, ვარდებით ხელში.
მინდორში იჯდა გოგო პატარა,
მზე გულუხვობდა ხუჭუჭა თმებში,
იჯდა გოგონა და ცას ხატავდა,
ცასა და დედას, ვარდებით ხელში.
ხატავდა ამ ცას, ლურჯს და უძიროს,
ყვავილობის თვეს, მაისის თვეში
და კიდევ იმ ქალს, გახსოვთ? უშვილოს,
მაგრამ ბავშვებთან, ვარდებით ხელში.
და თუ არ გაჭრა მშობლის ვედრებამ,
კვლავ დაგვემუქრა დელგმა და თქეში,
გვენახოს ქალი, ტროას კედლებთან,
ქალი ელენე, ვარდებით ხელში.
ქალი და ვარდი, ვარდი და ქალი,
ორთავე წმინდა და ხელთუქმნელი,
არ მოგვკლებოდეს არც ერთი წამით
ვარდებისა და ქალის სურნელი!

სახალისო

სიყვარულის თასს ბოლომდე დავცლი
და გიერთგულებ მარად,
შენთან ვიქნები ნაზი ან მკაცრი,
მაგრამ გულგრილი - არა.
თვალს მჭრის მინდვრების მწვანე ხასხასი,
გაზაფხულს ვხედავ შენში,
კენტად მოფრენილ პეპელასავით,
მოფრენილს, მარტის თვეში.
გხედავ სიზმარში, გხედავ ყოველდღე,
ვხედავ ჯადოსნურ ფერებს,
შენთან ვიქნები ნაზი ყოველთვის,
მკაცრი? მოვასწრებთ, მერე...

ერთი წუთი

ნაირფერებად ჩახჩახებს რინგი,
მოკრივეები მორჩილად დგანან,
დგანან თითქოსდა მშვიდად და რიდით,
გონგი მჭახედ არ ჩამოკრავს სანამ,
ცხოვრებაც ერთი დიდი რინგია
და რაუნდებიც მძიმედ სათვლელი,
დღეს შერკინების ჩემი რიგია,
ასე, ვინ იცის, კიდევ რამდენი...
წავიჩოქე, ვერ ვიცილებ დარტყმას,
ისმის გუგუნი, შეძახილები,
სანამ რეფერი მოასწრებს დათვლას,
ვდგები, კვლავ მუშტად შეკრულ თითებით.

ვდგები და მოდის მეორე სუნთქვა,
რაუნდებს შორის ის წუთიც მოდის,
ხვალინდელი დღის ფურცელი სუფთა-
დრო განსჯის, ფიქრის და სულის მოთქმის.
ერთი წუთი, ვით ერთი ცხოვრება,
შეცდომების და მონანიების,
ელვისებური გამეორება
ტკბილი და მწარე გაკვეთილების.
ხან ბრძოლა, ხან გვერდზე ზანტად გადგომა,
მოგონებებით მძიმდება მხრები,
ვდგავარ და მიკვირს, როგორ დაგროვდა
ერთადერთ წუთში ამდენი წლები.
თვალწინ ირევა შავი და თეთრიც,
ხიბლი და სევდა ირევა ერთად,
ამ განცდას ყველას გვიგზავნის ღმერთი,
ასე მგონია - მე სხვაზე მეტად.
ვდგები ჯიუტად, ვდგები ათასჯერ,
რადგანაც გავჩნდი, უნდა ვიცოცხლო
და ბედი სანამ სახლში დამაჯენს,
მეტი არასდროს არ წავიჩოქო.

რა წავიღო, სად წავიღო...

ასე იყო პირველ დღიდან,
ასე არის ოდითგანვე,
ზოგს მეფობა ერგო წილად,
ზოგს ლოდინი მეფის კარზე.
ზოგი ეძებს სარჩოს კვირის,
ზოგი ფიქრობს, სად გაერთოს,
მათთან ჩატეხილს, ვინ ჩივის,
ხიდი არ იყო საერთოდ.
რაინდობა აღარ ფასობს,
აღარ ვფიქრობთ ხშირად სხვაზე,
ყველა რაღაც როლს თამაშობს
ამ ცხოვრების დიდ სცენაზე.
კარგს ვაკეთებთ ზოგჯერ ცუდად,
ცუდს კი, სავალალოდ, კარგად,
უფლის მოცემული, ვწუხვარ,
სულის მეკვლე დაგვეკარგა.
ზოგს ცხრა სასახლე არ ჰყოფნის,
ზოგი ტანზე ირგებს საბანს,
ზოგი ზეობს,ზოგი ოფლით
ამ ცხოვრებას თავს ძლივს აბამს.
ზოგი ადის, ზოგი ჩადის,
მგლისა და კრავის არ იყოს,
ბოლოს ზოგ-ზოგს მოკლავს დარდი,
- რა წავიღო, სად წავიღო...

დედის წუხილი

ჩვილის პირველი სიტყვა „დედაა“
და ამოსუნთქვაც უკანასკნელი,
სიხარულია, თანაც სევდაა
დედის ყოფა და დედის უღელი.
ეს გვალამაზებს და ეს გვაქალებს,
მაგრამ გაცუდდა ეს სიტყვა, ვაგლახ!
ბოღმა მერევა, ვეღარ ვაკავებ
ლავად წამოსულ გაგონილ-ნანახს.
კოშკი მეშლება აგურ-აგურად,
სუნთქვა მეკვრება და ფიქრიც მიჭირს,
სატანამ სულში დაისადგურა
მკერდს მოწყვეტილი, უმანკო ბიჭის.
ეს არ მსმენია, ეს არც ყოფილა,
ჩვენში რა უნდა ბილწსა და პირშავს,
სიტყვას ვამბობდით გამოზომილად,
გულანთებულად ვიწერდით პირჯვარს.
სანამ გაქრობა არ გვიწერია,
ნუ შეგვიბღალავთ ცასა და მიწას,
გთხოვთ და გაფიცებთ, როგორც გვჩვევია,
იმ გულის ფეთქვას, იმ პირველ სიტყვას!

ჭირისუფალი

შემაღლებულზე, ერთ-ერთ საფლავთან,
შავად მდუმარი და შეუვალი,
გამვლელებისგან სახეს მალავდა
ძაძებიანი ჭირისუფალი.
უთუოდ მასში არსება ორი
ამ ქვეყნისა და იმ ქვეყნის იჯდა,
იჯდა ქალი ორ სამყაროს შორის,
ბედშერისხული, თან მშვიდად, დინჯად.
ცაზე არ ჩანდა ღრუბლის ნაფლეთიც,
უცებ მოფრინდა ჩიტი- ბეღურა
და კურთხეული პურის ნამცეცი
ფრთხილად აკენკა, თავისებურად.
გაშალა ფრთები ჭიკჭიკ-ჟღურტულით,
თვალს მიეფარა, გასცდა მთა-გორაკს,
საკვირველებავ, ოჰ, სიხარულის
ამ დროს ქალს ცრემლი გადმოუგორდა.
ასე ყოველდღე, ასე დღედაღამ,
ერთი ჟღურტულა, ერთი მდუმარი,
მოდის ის ქალი, მოდის ბეღურა,
ერთმანეთისთვის ჭირისუფალნი.

ერთგულება

იყო ზეიმი, ფერთა ციალი,
ჭიქებში ვაზის აბობოქრება,
ბევრი ღიმილი, ბროლის წკრიალი
და მენდელსონის შემობრძანება.
ამ დროს კი ვგრძნობდი შენს ფარულ ღელვას,
ვხედავდი თვალებს, გახელილს ფართოდ,
თითქოს პირველად გიწევდა გავლა,
თითქოს პირველად გტოვებდნენ მარტოს.
ეთხოვებოდი თითქოს ბავშვობას,
იმ შენს ლალსა და იმ შენს საფირონს,
სადღაც,შორიდან,ტკბილად გესმოდა
„ნანა სკუა“ და „გულუაფირო“...
დრომ დაგიამა, დრო თავად მოდის,
გოგონამ მალე აგვიბი მხარი,
გაქალბატონდი, არ მახსოვს, როდის,
როდის გაგვიღე პირველად კარი.
ასე შემოდი, შემოფართქალდი
ჩემს ცხოვრებაში, როგორც ფრინველი,
ორგულობაში ბოლო ვიყავით,
ერთგულებაში - მხოლოდ პირველი.
მჯერა, ჩვენს შემდეგ ისე ივლიან,
როგორც ვიარეთ მხოლოდ მე და შენ,
თავი არასდროს არ დამიხრია
გარდა შენსა და ღმერთის წინაშე.
ასე ვფარავდით ჩვენს გრძელ მარათონს
ვენთეთ, ვქრებოდით, ვენთეთ თავიდან,
თუ ნათებაა, ერთად ვანათოთ,
და თუ წვა არის, ერთად დავიწვათ!!!

...

გაწყენინე? განა მინდა?
ცუდს არ ვფიქრობ არავითარს,
მკვახე სიტყვა გამიფრინდა,
ლამის შაშვის ჭახჭახითა.
იცოდე, სად ეკალია,
იქ წითელი ვარდიც ხარობს,
შაშვი მუდამ არ ჭახჭახებს,
შაშვი უფრო ტკბილად გალობს...

მთები და პატარა გოგონა

ვუძღვნი აზა ქამადაძეს

შეჰხაროდა სხივებს დილის,
მზეს, მთებსა და იალაღს,
მთის კალთაში გამოზრდილი
გოგო თეთრი, ცქრიალა.
ზღვას ნატრობდა,ზღვა ისურვა,
ბევრი, ბევრი იარა,
და თეთრ ქალაქს მიაშურა,
გოგომ თეთრმა, ცქრიალამ.
გაკაშკაშდა ნიჭი ბოლოს,
გაიშალა მთლიანად
და გაგვიხდა საპატარძლო
გოგო თეთრი, ცქრიალა.
გოროზი მთის სიყვარული
ზღვის ტალღებს აზიარა,

ზღვა და მთები დაამოყვრა
თეთრმა გოგომ, ცქრიალამ.
ენატრება მთას გოგონა,
მთები გახდა მტირალა,
თუმც ეს სულ სხვა ცრემლებია,
მწუხარების კი არა.
ამაყობენ გოგონათი,
მტირალაც და მცინარაც,
აგვიორთქლა ყველა დარდი.
გოგომ თეთრმა, ცქრიალამ.

შორეული ნაოსნობის კაპიტანს, ზურაბ (ჯონი) პატარაძეს

ვდგავარ და სულგანაბული
გიყურებ, ქცეულს გრანიტად,
თითქმის ერთად ფეხადგმულნი,
ჩემთვისაც დარჩი კაპიტნად.
მოგონებები დაგროვდა,
ანცობა სკოლის სკამიდან,
არ იქნა, ვერ შეგვახვედრა
მოუცლელობამ, კაპიტან!
სიცარიელე, წუხილი,
არ მომასვენებს, ამიტანს,
შეგვძრავდა ჭექა-ქუხილი,
ჯერ არ მეგონა, კაპიტან!
იმ დღეს, ეჰ, გული მიგრძნობდა,
დიდხანს ვიდექი ნაპირთან,

შენთან შეხვედრა მინდოდა,
ვერ მოვასწარი, კაპიტან!
დრომ დამაყარა ქოქოლა,
დრო რა ულმობლად გავიდა,
კიდევ რაღაცის მოყოლა
ვერ მოვასწარი, კაპიტან!
შენს წასვლა-მოსვლას შორეთში
მიჩვეული ვართ თავიდან,
ასე შორს თუ წახვიდოდი,
ჯერ არ მეგონა, კაპიტან!
სითბო, სილაღე, იმედი
მომყვება სკოლის კარიდან,
თუ დაწყდებოდა სიმები,
ჯერ არ მეგონა, კაპიტან!
გაუთავებლად ვიწვოდე,
მინდა ორთავეს მაგივრად,
რაღაც-რაღაცა მინდოდეს,
რაღაც მოვასწრო, კაპიტან!
ვდგავარ და სიტყვებს მადლობის
მხურვალედ გითვლი აქედან,
იმ დღეებისთვის, ბავშვობის,
იმ დღეებისთვის, კაპიტან!

„იყო და არა იყო რა“

ბევრი ვიშრომეთ, ვიბრძოლეთ,
წლებიც საკმაო გავიდა,
მაგრამ დღეს მინდა ვიცოდე,
რა ხდება, ვინ ვართ, რა გვინდა...
გაუტანლობა დაგვჩემდა,
გაქრა დრო ხმლების ალესვის,
ვიხედებით და ვერ ვხედავთ,
ვუსმენთ და მაინც არ გვესმის.
ასე ყოფნა არ გვარგია,
კინკლაობით და ყბედობით,
ჩანს, გრძნობა დაგვიკარგია
სინანულის და შენდობის.
ვკილავთ ყველას და ყველაფერს,
ლამის დაგვიწყდა ძარღვები,
ამ ახალ პოლიტიკანებს
მომკალი, ვეღარ გავყვები.
ათას წესსა და სანქციას
ქამრის მოჭერაც დაერთო,
თანაც იმათთვის, ვინც ქამარს
ვეღარ ატარებს საერთოდ.
რაც გვაქვს, იმას არ ვაფასებთ,
რაც არ გვაქვს, იმას მივტირით,
დრო წარსულს გაგვილამაზებს
სევდანარევი ღიმილით.
ვდგები და იმედიანად
მსურს მკლავი ისევ გავმართო,
იმედი ბოლოს კი არა,
არ მომკვდარიყოს არასდროს!

მოდი და ერთად შევყაროთ,
კომბლე, წიქარა, ნიკორა,
და კვლავ თავიდან დავიწყოთ
იყო და არა იყო რა!!!

ქეთი დოლიძეს

იმ ღამით გუგუნს, უჩვეულ ვნებას,
ძლივს აკავებდა ძველი კედლები,
ეს იყო მრავლის მნახველი სცენა,
სცენა თავისი ხიბლით, ცრემლებით.
აქ იწრთობოდა სამჭედლო სულის,
დღედაღამ, ჩაუქრობელი ალით,
რომელსაც, რა ვთქვა, ბავშვივით უვლი,
მუხლჩაუხრელი, მებრძოლი ქალი.
ჩვენც შენთან ერთად აქ ვიწვით, რათა,
მივაგოთ სნეულს, ობლებს და დედებს,
ვიყოთ მართალნი საკუთარ თავთან,
ჩვენს ამ დახლართულ ცხოვრების გზებზე.
აქ, ამ დარბაზში, ყველანი ერთად,
ვმშვენიერდებით, იმედით ხვალის,
ვგრძნობთ, ო, როგორ ვგრძნობთ, ვით ღვთიურ ელდას,
ძალას ფაქიზი, მებრძოლი ქალის.
მაინც ქალი ხარ, გულს გვეხატები,
მინდა ვიცოდე, ისევ და ისევ -
როგორ თავსდება შენში ამდენი
ერთად სიმტკიცე და სიფაქიზე.

სკოლის სკამიდან თეატრის გმირებს,
გულში ვატარებ, როგორც სალოცავს,
როგორც სიცოცხლის წკრიალა სიმებს,
ქარიშხალში თუ ბავშვის საწოლთან.
სიმშვენიერეს თაყვანი ჩვენგან,
დაე, ზეობდეს ნიჭი ნამდვილი,
ქარში თუ დარში გვხვდებოდეს ყველგან,
ქალი - სიკეთე, ქალი - მანდილი.

თეთრი სიჩუმე

ბათუმი, 2016წ 1 იანვარი

იგი ახალ წელს მოვიდა ღამით,
ისევ გვეწვია მხცოვან ბიჭუნებს,
ქათქათა, ბრძენი, წმინდანი ლამის,
-თეთრი სიჩუმე, თეთრი სიჩუმე.
მოვიდა მოყვრად, როგორც დილის მზე,
მიწა ცოდვილი დაფარა თეთრად,
მოვიდა, რათა სუფთა ბილიკზე,
ცხოვრების ჯვარი ვატაროთ ერთად.
სუნთქვა შემიკრა ლამაზმა თოვამ
და სისპეტაკემ მდუმარე თოვლის,
ასეთი განცდა, ასეთი ლტოლვა,
მიგრძნია ნეტა? არ მახსოვს, როდის...
ვმშვიდდები, ვხედავ სურათებს ფერადს,
კეთილ სურვილებს არ უჩანს ბოლო,
დედამიწაზე ყოლოდეს ყველას
ასეთი მეკვლე, ასეთი, მხოლოდ.

გელი ყოველ წელს, გელი ბავშვივით,
როდესაც მოხვალ, შენთან მიგულე,
უცოდველი ხარ, ნორჩის ცრემლივით,
თეთრო სიჩუმევ! თეთრო სიჩუმევ!
როცა მოდიხარ, ასე მგონია,
ხარ ჩემი ლექსიც, ძალაც, სისუსტეც,
რამდენი რამის თხრობა გცოდნია,
თეთრო სიჩუმევ! თეთრო სიჩუმევ!

•••

გაქრა ოცნების ლურჯი მირაჟი
და ხიბლი, ვწუხვარ, ქცეული დარდად.
გრძელი წუთები დარში, ავდარში,
ქუჩის ბოლოზე, პატარა სახლთან.
იმ ნანატრ დღეებს გულში ვინახავ
და მეხსომები, თუნდაც სულს ვლევდე,
ვგავარ მრავალჯერ ჩამქრალ ჩირაღდანს,
ცეცხლგამოვლილი, მოსული დღემდე.
გავიგე, მიხმობ, მიგზავნი სითბოს,
მალამოდ მექცა შენი კალამი,
ისევ გამოჩნდა დიდი გზა თითქოს,
თითქოს არ იყო სევდა, ვარამი.
თითქოს გწადია, ახლა გამანდო,
ის, რასაც ჩემი სათქმელიც ჰქვია,
სიყვარულია, ეჰ, სჯობს არასდროს,
არასდროს, ვიდრე, მერწმუნე, გვიან.

...

ალისფრად როცა თენდება,
სიცოცხლე მშვენიერია,
სიტყვა და კარგის კეთება,
როცა ლექსივით ერთია.
ქება იმ დღეებს იღბლიანს,
და იმ ხვალინდელ იმედებს,
როცა ერთ ცეცხლში იწვიან
აზრი, სიტყვა და სიკეთე.

ჯანსაღი ცხოვრების მოყვარულთ
(იუმორით)

ცივ შხაპს რამე შეედრება?
არაფერი ნამდვილად,
დარია თუ გაავდრდება,
თავი გამაქვს ადვილად.
დილით სარბენ ბილიკებზე,
თავად მე ვქმნი პირობებს,
ზღვის ტალღები ლივლივებენ,
საბანაოდ მიხმობენ.
ფეხშიშველა, ბალახ-ბალახ,
დილის სუფთა ჰაერით,
ვიმუხტები,რომ დავძლიო
ჭირი ათასნაირი.
მოგვარება პრობლემების
თავისთავად არ ხდება,

ბოსტნეული ვჭამოთ მეტი,
ერთმანეთი - ნაკლებად.
დავდივარ და თან დამყვება,
ხალისი და იმედი,
ათ მერსედესს მირჩევნია
ერთი ველოსიპედი.
დავდივარ და სამწუხაროდ,
ქუჩა რჩება უცვლელი,
წინ რაღაცა მიგოგმანობს,
კაცია თუ მუცელი?
სახლში მოვალ, მიზეზ-მიზეზ,
ქალი მეტყვის შაირებს,
დამშვიდებულ ჩემს სულს ისევ
გამწარ-გააპილპილებს:
„რას დახტიხარ, რას დარბიხარ,
ლამის გადავირევი,
სირბილს ფული რომ მოჰქონდეს,
ვერ გამასწრებს ირემი“
ვიცი, მჯერა, ვერ გაგასწრებს
ირემიც და მერანიც,
და თუ კიდევ იწუწუნებ
ვერ გაგასწრებს ვერავინ.
ვერ არისო, ზოგი იტყვის,
ზოგი იტყვის სხვაგვარად,
კარგად ვიყო, ვიყო იღბლის
და პერანგის ამარა.
ბოლოს, ვინც არ დამიჯერებს
წნევას, თავის ტკივილებს,
„სკლიაროზს“ და ელეთ-მელეთს
ერთ ბუკეტად მიიღებს.

მათი მწამს და მათი მესმის!

ვერ გაგვტეხა შუღლმა, ომმა,
ასე იყო, ასე ხდება,
დაცემა და წამოდგომა
მერამდენედ მეორდება...
დევები და ასფურცელა,
ყიჟინა და ყრმათა გვემა
და კვლავ ტკბილი „ოროველა“
მერამდენედ მეორდება.
ვწუხვარ, ისევ გაჩნდა დარდი,
დარდი ყველგან, გარეთ, სახლში,
ნაადრევად ჭკნება ვარდი
ყვავილების ქვეყანაში.
დიდ კონტინენტს ვუწვდით ხელებს,
ხსნას გაღმიდან ელის ერი,
იქნებ ჩვენც გვყავს ჩვენი პელე
და კეთილი როკფელერი?..
გავიარეთ ო, რა გზები,
ცა იწვოდა, მიწა ტოკდა,
მაჩაბლები, ცოტნეები
ისევ დგანან რუბიკონთან.
დგანან, მოვლენ, მალე მოვლენ,
დაუღამდათ, იქნებ, გზაში,
ამისთანებს რა გამოლევს
ამ ღვთის-წილხვედრ ქვეყანაში.
ვეგებები ცისკრის ნიავს
ჩემი მუზით, ჩემი კალმით,
აგერ, ეძებს ადამიანს
ქუჩა-ქუჩა ბრძენი ლამპით.

და იპოვის, მოვა ჟამი,
მათი მწამს და მათი მესმის -
მკერდდაფლეთილ ამირანის
და ქართველი ოდისევსის!

„ესეც ასეო”

ქართველი კაცი ბრძოლის წინ მტერთან,
ცას ახედავდა: „ღმერთი ვახსენოთ“,
და ყოველი ხმლის დაკვრასთან ერთად
თან დასძახებდა „ესეც ასეო“!
„ესეც ასეო” - ყველას მიეზღოს,
„ესეც ასეო”- ორგულს და გამცემს,
ეს ორი სიტყვა დაფრინავს თითქოს
მშვიდობისა და იმედის მაცნედ.
როცა გაივლი შიშველი ფეხით
ცვარიან მინდორს, ჩრდილს თუ სამზეოს,
ყურს მოკრავ ვაზთან ჩაცუცქულ გლეხის
სიმღერასავით „ესეც ასეო“,
მივალ მშენებარ ეკლესიასთან,
ხალხს შევერევი ჯარად დასეულს,
თუნდაც ერთ აგურს, მაცხოვრის თავთან
მეც დავდებ შვებით „ესეც ასეო“
დღეს შვილიშვილებს ვენუკვი, ვეტრფი,
უფლის საჩუქარს, უცვლელს, ფასეულს,
ესაა ჩემი ხატიც და კერპიც,
“ესეც ასეო”, “ესეც ასეო”!

ცხოვრებას, კითხვის ამ ნიშნად დასმულს,
ვებრძვით, სანამ ვართ, სანამ ვარსებობთ,
და იქ, სიცოცხლის ბოლოში გასულს,
ჩვენც დაგვეძახოს: „ესეც ასეო“!

...

შენი ღიმილი ცისკარს მაგონებს,
მზერა-ლივლივა ზღვას,
კვლავ გადავივლი პირქუშ მთა-გორებს,
გავალ კლდესა და წყალს.
მოვალ, დაგხედავ დილით, მძინარეს,
როგორც უმანკო ბავშვს,
შენი ლამაზი სუნთქვით ვიხარებ,
გავიხანგრძლივებ წამს.
ბოლოს გავქრები, როგორც სიზმარი,
მივეფარები თვალს,
შორიდან ლოცვას გამოგიგზავნი ,
რისხვას - მტერსა და ავს!
ვიცი, ჩვენს ბაღში ისევ იდარებს,
ტრფობას გავუღებ კარს,
მანამ კი იმ შენს სუნთქვას ვიკმარებ
და იმ ბედნიერ წამს...

გიორგი შაქარაშვილის ხსოვნას!

წუთისოფელი, ნეტა ვიცოდე,
როდის გვიმუხთლებს, მოგვიყრის ღრუბლებს,
როდის წაიღებს ბიჭის სიცოცხლეს,
წაიღებს, მოწყვეტს მშობლების უბეს.
წაკინკლავება იქცა ომებად,
უბრალო დავა-პირისპირ დგომად,
რამ დაგვიბინდა ასე გონება,
ნუთუ, არ გვეყო მწუხრი და გლოვა?!
შური შემოდის რკინის კარიდან,
ცოდვებით სავსე დადის და დადის,
ბუმერანგიც, ო, ვწუხვარ, დამძიმდა,
ველარ პოულობს წინანდელ ადგილს.
მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილი,
„მოძმის" ისარი და ხმა განწირვის,
მიწას გართხმული,ფრთამოტეხილი,
მარტო იბრძოდა ვაჟას არწივი.
ეჰ, იმ მძიმე წუთს რად არ მოვედით,
რად ვერ შევძელით შენს გვერდით დგომა,
რად ვერ გავფანტეთ ბინძურ მტვერივით,
პირსისხლიანი ორფეხა ხროვა.
დე, რაინდობა ისევ ზეობდეს,
შენს ვაჟკაცობას ვაქებთ, ვაფასებთ,
შენი სიკვდილით, ერთმა აჯობე
ცოცხლად დარჩენილ ასს და ათასებს!!!

20.07.2020

ჩემს დას, ლალის!

თავს ვუხრით ყველა სულგანაბულნი,
შენს გაუხუნარ ქალურ სინაზეს,
დე, დიდხანს გევლოს წელგამართული
ამ ღვთით დალოცვილ, ქართულ მიწაზე.
დაგჩემდა, ჭირი გაიყო სხვების,
დაუკაკუნო მოძმეს კარებზე,
თან, დახუნძლული როგორი წლებით,
სასწაულია ყველგან ასწრებდე!
ნუ გვიკვირს, როცა მზადა ხარ ასე,
თავი გადადო,იყო კეთილი,
სწორედ ამიტომ მიყვები ტალღებს
დინჯად, ამაყად, თეთრი გედივით.
სწორედ ამიტომ წიგნის გვერდიდან
გადმოსული ხარ, ჩვენს შორის მდგარი,
მთა-გადმოვლილი, ოდნავ დაღლილი,
დედა, აღმზრდელი, უბრალოდ ქალი.
არ მოგვეშალოს კიდევ დიდი ხნით,
შენი ხელების თეთრად ქათქათი,
შენი ბუზღუნი, შენი ღიმილი,
შენი ჩალხი და შენი ლაზათი.

შვილიშვილს

ჩემი სამყარო ბორბალს მაგონებს,
ბორბალს, გიგანტურს და ზეიმს ფერთა,
სადღაც მივყავართ ცისფერ ვაგონებს
ამ დედამიწის ბრუნვასთან ერთად.
ლტოლვა, ძიება, ჩვენს ჯიშს და მოდგმას,
რამდენჯერ, როგორც სიკეთის მისანს,
გზად დაუგდია დარდი და შფოთვა
ცაში გატყორცნილ ოცნების ისარს.
ფრთები შეგსხმოდეს შემოკრულ ზარზე,
მხარი აებას უცნობს და ნაცნობს,
და შენც გაგედოს კომბალი მხარზე,
გზას გასდგომოდე, პატარა კაცო!

გამზრდელები

ზოგი სიკეთეს დებს ქვაზე,
ზოგი კი გესლს ასპიტივით,
ყველას წინ დაგვხვდება გზაზე,
სანამ ვცოცხლობთ, სანამ ვივლით...
ზოგი, ვაითუ, გაიყიდა,
არ ასცდება, როგორც წესი,
ხევისბერის ხანჯალი და
ხელი-რისხვა ფალკონესი.
სიყვარულით გათანგული,
ამ მიწაში ასვენია,
ცხრა ძმის დედის ცხელი გული,
და იმ მოძღვრის ცხელი ტყვიაც.
ამ მიწაში განისვენებს,
როგორც ერთი დიდი სევდა,
ერთმანეთის წმენდნენ ცრემლებს
მოყმის დედა, ვეფხვის დედა!
გვიგლოვია, გვიმღერია,
ცხრაც ვიყავით და ათასიც,
ამიტომაც გვიწერია
უკვდავება პაატასი.
და ასე, დასაბამიდან,
პირქუშნი, თან ამაყები,
მოყვებოდნენ ქართულ მიწას
ვალმოხდილი გამზრდელები.
ვერ წალეკავს მათ ჯიშს, რჯულსა,
ვერც ზღვის ტალღა, ვერც ცის თქეში,
ცეცხლის კვამლში გახვეულს და
გამეხებულს, ხანჯლით ხელში!

დამოუკიდებელი საქართველოს პირველ მსოფლიო ჩემპიონს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მუხრან ვახტანგაძეს

ბრძოლით და ცხელი გულებით
დიდხანს ველოდით, გვეღირსა,
ო, რა ამაყად ვუსმენდით,
ჰიმნს თავისუფალ ქვეყნისა!
იქ, ჩვენი დროის ამირანს,
ჯვრიანი დროშა გფარავდა,
სამყარომ კარი გაგიხსნა
ახალი ქვეყნის ფალავანს.
ჩვენ მაშინ ერთად ვიდექით,
ის ტალღაც მაშინ დაიძრა,
მას მერე,რიხით,იმედით
იმ ახალ გზებზე დავდივართ.
შენში,ერთ კაცში,არ ვიცი,
როგორ თავსდება ამდენი -
იყო ყოველთვის რაინდი,
იყო ყველასთვის თავმდები.
როგორ თავსდება ღვთიური,
ხათრი, მოთმენა, ლოდინი,
და ძალა ფანტასტიური,
მთას მოწყვეტილი ლოდივით.
და ვერ იქნები სხვაგვარი,
მადლი ამ ცას და ამ მიწას,
მთებმა დაგირწეს აკვანი
ამ მთებში გაზრდილ ყმაწვილკაცს.
გამარჯვებებით გვეხაროს,
და სხვა რა უნდა მენატრა,
ძალა ხანდახან გეხმაროს,
სიკეთე გენთოს კელაპტრად.

2001 წ 25 დეკემბერი

ისტორიის მეტამორფოზები

ამპარტავნებად გვაქცია ცოდნამ,
ჭკუა გვატარებს მოკეთის ნიღბით,
ვგრძნობთ, ვფიქრობთ, ვუსმენთ ძალიან ცოტას,
ვსაუბრობთ ბევრს და ჩვეული რიხით.
ასე თუ ისე, სკამი მოვირგეთ,
არ უჩანს ბოლო ბოღმას, ბალაგანს,
რაც მეტ, ასე ვთქვათ, კამათს მოვიგებთ,
მით მეტ, გარწმუნებთ, მოყვასს დავკარგავთ.
გადავეჩვიეთ ზრუნვით,ფერებით
ერთმანეთისთვის ხელის გამართვას,
თითქოს დამთმობნი, მომრიგებლები,
სადღაც წყალგაღმა ვეძებთ სამართალს.
ხომ იყო ჩვენში ერთობა ოდეს,
იმ გმირთა სულებს უფალს ვავედრებ,
მცხუნვარე მზეზე გართხმული ცოტნე,
სიკვდილის მძლევი მეფე დემეტრე.
ხომ იყო დიდი ფიცის დადება,
სიყვარულისთვის ლოცვა საყდარში,
დაუფიქრებლად სისხლის გაღება,
ასე მოვედით, ასე გადავრჩით.
როგორ არ იყო, როგორ არ გვყავდა,
მეგობრობის და ერთობის ბურჯი,
დაბადებულნი ზღაპრად, არაკად,
-ფარნავაზი და ყმაწვილი ქუჯი.
რაც მოდგმა გაჩნდა, სულ იყო ომი,
მაგრამ ის ბრძოლა სხვა ომს მაგონებს,
მხარდამხარ ორი მოსისხლე ტომი,
როგორ შეებნენ კონკისტადორებს.

გვიყვარდეს მუდამ კარგის კეთება,
გვიყვარდეს ზოგჯერ ,,ჯიუტი” სარკეც,
ილიას თბილი რჩევა-ვედრება,
გახსოვთ? „აბა, მე
დღეს ვის რა ვარგე?“

განსაცდელი

მოდის, როცა სულ არ ელი,
სნეულებამ იძალა,
ჩანს, უფალმა განსაცდელი
ისევ გამომიგზავნა.
ვწევარ, გხედავ, ჩემთან დგები,
სიხარული აგორდა,
მახსოვს, ასე ათენებდი
ღამეს ბავშვის საწოლთან.
დამიმძიმდა ეს თვალები,
წავთვლიმე ეს წუთია,
ვგრძნობ, რაღაცას მეკითხები,
თურმე, დამიკუთია.
ახლოსა ხარ, ვგრძნობ, მეხები
მაგ მთრთოლვარე თითებით,
ცოცხლობ ჩემი გულის ცემით,
გესმის ჩემი ფიქრები.
შავი ღამე, თეთრი ძილი
ბორგავს, შფოთავს, მძიმდება,
მაგრამ შენთან ერთად, დილით,
სიცოცხლე კვლავ იწყება.

თითქოს ციდან ჩამოდიხარ,
დამკანკალებ მწოლიარეს,
რა ძალა ხარ, რა ყოფილხარ,
თურმე, სულ არ მცოდნია.
და რატომღაც სულ მეგონე
აზიზი და თავნება,
ო, რა საოცრად გიხდება
ერთგულების ტარება.
ვხედავ, გაღმა მწვანე ნაპირს,
ეს ახალი გზებია,
საწუწუნო ნეტა რა მჭირს,
მართლაც გამკვირვებია,
მე რა მომკლავს ამის შემდეგ,
მზე ჩემთვისაც ანათებს,
შენთან ერთად, მზად ვარ შევხვდე
თუნდ მილიონ განსაცდელს.
მჯერა, მალე ეს თვითგვემა,
ეს ბურანიც გაივლის,
ჩვენს ფანჯრებშიც დაიფრქვევა
სურნელება მაისის.
მე ხომ ჯერ არ გამიშლია,
მწვერვალს ბოლო კარავი,
ვეტრფი მზეს და ქარის შრიალს,
როგორც არსად, არავინ...

ასანთის აღსარება

პოეტ მიხეილ ქვლივიძის ხსოვნას

წვავდნენ ერთთავად ბილწს თუ უბიწოს,
წვავდნენ ჯორდანოს, წვავდნენ სიმართლეს,
და, მაინც, ცამდე ასულ ცოდვის დროს,
გვირაბის ბოლოს ჩანდა სინათლე.
გვახრჩობდა დელგმა, სიცხე,სიცივე,
ბრძოლით, სიმართლით გაკვალულ გზებზე,
დღეს მე იმიტომ ვხედავ სივრცეებს,
ვდგავარ კვლავ ჩემი წინაპრის მხრებზე.
სინათლე, სითბო, ჩვენს გახსნილ ფანჯრებს,
გმობა და წყრომა ცრუსა და მკრეხელს.
სჯობს დავიფერფლო კოცონში ასჯერ,
ვიდრე სირცხვილით დავიწვა ერთხელ.
ვფიცავ,არ ვმდგარვარ სატანის გვერდით,
დაე, ცოდვისგან ღმერთი მფარავდეს,
თუმც გავიარე წვა არაერთი,
დიდ პრომეთედან დღემდე, აქამდე.
ჩემზე ამბობენ,რომ არა თავი,
მე დასაწვავი ნეტა რა მჭირდა?
შეუმჩნეველი, პატარა კაცი
ვიყავი ჩემთვის,მეტი რა მინდა...
თუმცა, ჩანს, ასე ბედი არ მტოვებს,
მეამაყება ჯარისკაცობა,
ვიწვი ბოლომდე, მაგრამ თან ვტოვებ
სითბოს, სიკეთეს, კაცურ კაცობას!!!

საგაზაფხულო სადღეგრძელო

ამქვეყნად, ამ წუთისოფლის
წარმავლობის არ მჯერა,
სანამ მუზა თავად მოდის,
სანამ მიჭრის მარჯვენა.
სანამ თქვენთან ვდგავარ გულით
და ამ სავსე ფიალით,
სანამ მატკბობს გაზაფხული
ვარსკვლავების ციალი.
სანამ მატკბობს, ალამაზებს,
ცას მზე,სუფრას მარილი,
და ნაზამთრევს, ჯანით მავსებს
უშიშარი აპრილი.
მეგობართან შესახვედრად
გაუშლია მკლავები,
მაისი კი კართან ხვდება
თეთრ-წითელა ვარდებით.
არ მოგვშლოდეს დიდხანს, დიდხანს,
აისიც და დაისიც,
აღმაფრენა აპრილის და
სილამაზე მაისის.
ამხდარიყოს ის, რაც გვინდა
დღეს, ხვალაც და გაისად,
გვაცოცხლებდეს აპრილი და
ფრთა შეგვასხას მაისმა.
მოდი, ერთად ავყვეთ გოლგოთს,
თან, შევავსოთ სასმისი,
ერთად ვიყოთ მუდამ, როგორც
აპრილი და მაისი!

ჩიტები და ქარი

ერთმანეთში ირეოდა
იმ დღეს გლოვის ზარი,
მოფუსფუსე ჩიტები და
მოზუზუნე ქარი.
ჩახვეოდა ახალ საფლავს,
თაიგული ვარდის,
ქარს გაჰქონდა ამ დროს, სადღაც,
ცოდვა, ურვა, დარდი.
სიცოცხლეშიც ასე ხდება
-ქარს ვატანდით სევდას,
არ ღალატობს ერთგულებას
ქარი იქაც, ყველგან.
ჩიტები კი, მაღლივ გორზე,
ჭიკჭიკით და სტვენით,
მოუხმობდნენ ანგელოზებს
ჯადოსნური ხმებით.
ამობრწყინდა ცის ტატნობზე,
ოქროსფერი ბურთი,
ეს მოქროდა ქარის მხრებზე
ანგელოზთა გუნდი.
და გაიღო ზარ-ზეიმით
ცად სამოთხის კარი,
გვაცილებდეს იქით მერე,
ჩიტები და ქარი.

მე და ზღვა

ეს სიყვარული აკვნიდან მომდევს
და დამიჯერე, ასეთად დავრჩი,
ასე მგონია წარსულში ოდეს,
ამ ქვეყნად, ერთად, მე და შენ გავჩნდით.
შენს ცისფერ ტალღებს ვარ მიჩვეული,
მე ხომ, მეც, შენი ერთი წვეთი ვარ,
მოვდივარ შენთან, როგორც სნეული,
მხვდები მეგობრად, მხსნელად, ექიმად.
სიცოცხლის გზებზე ცეცხლთან თამაშში
გული ბორგავდა, სული ღელავდა
და წყნარ ნაპირთან, როგორც საყდარში
ისევ ვმშვიდდები, როცა შენთან ვარ.
შენთან, ო, როგორ ვგრძნობ ამ ცხოვრებას
— კაეშანს ღამის, სიმხნევეს დილის,
მაგ ტალღებივით მონაცვლეობას,
ტკბილის და მწარის, მწარის და ტკბილის.
გამჭვირვალე ხარ, როგორც სიმართლე,
თავისუფალი, როგორც თოლია,
თავისუფლება შენგან ვისწავლე,
უშენოდ წუთიც არ მიცხოვრია.
მინდა ვუსმენდე შენს შრიალს მარად,
შენი პატარა ერთი ძმობილი,
ხან მდელოსავით ლივლივებ წყნარად,
ხან ფაფარაყრილ ღელავ ლომივით.
მუდამ არნახულ ძალით გვავსებდი,
ხშირად გაწუხებთ? არ გაგვიბრაზდე,
როგორ ახერხებ იყო ასეთი
- თანაც წყნარი და თანაც მრისხანე.
დიდი ღამიდან, ნათლისღებისა,
როცა ერთ ციცქნა უცოდველს ვგავდი,
მომყვება ძალა, სიბრძნე ღმერთისა
და შენი უხვი მარილის მადლი...

ბ-ნ აკაკი ბერიძეს, მისი 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით

დრო მიდის და მაღლა-მაღლა ადიხარ,
გრჩება მადლი, გაბნეული ნაპირზე,
დასტაქარო! ძველებურად დადიხარ
ორ სამყაროს შორის გაბმულ ბაგირზე.
სიკვდილისთვის ბევრჯერ ჩაგიხედია
ჯიქურ, ფართოდ გახელილი თვალებით,
ამიტომ, აქ, სიცოცხლეზე მღერიან,
სიკვდილისთვის ჩარაზული კარებით.
იმ მძიმე დღეს ორჯერ მეტად ვილოცებ,
გული გიწევს, არ გიტოვებს არჩევანს,
იმ დღეს კვდება ორი შენი სიცოცხლე
სხვისი ერთის, ერთის გადასარჩენად...
განთიადი კვლავ ზეიმობს ბნელეთზე,
ბოროტება, დაე, კუპრში იწვოდეს,
კვლავ იღვრება მადლი ოქროს ხელებზე,
ჰიპოკრატე ცოცხალია, იცოდე!
ფრთა შეესხას შენთვის წლების სიმრავლეს,
შორს ყველასგან თვალთმაქცობა, ღალატი,
გამშვენებდეს კიდევ დიდხანს, მრავალ წელს
განუყრელი შენი თეთრი ხალათი!

2019 წ

...

ვერაგი სენი გვიტევს და გვიტევს,
ცდილობს მზაკვრულად დაგვრიოს ხელი,
თუმც, არ არსებობს მერწმუნეთ, მენდეთ,
ავადმყოფობა მოურჩენელი.
განიკურნება ის სენიც ბოლოს,
გაქრება შიში, სევდა ფარული,
არ იკურნება ამქვეყნად მხოლოდ
სიკეთე, სითბო და სიყვარული.

2020 წ

თეთრი ხალათი

გმირ მედიკოსებს ვუძღვნი

რამდენმა ომმა გადაგვიარა,
გადაგვივლია კლდე და ქარაფი,
დაჰკანკალებდა რამდენ იარას,
თეთრი ხალათი, თეთრი ხალათი.
ლამის გაჩერდა ლურჯი სამყარო,
ვით ზეციური პანო, ნახატი,
და კიდით კიდე, როგორც არასდროს,
დაფრინავს მხოლოდ თეთრი ხალათი.
გულში მახვილი ყოველ ბაცილას!
დე,იზეიმოს გარჯამ, ხალასმა,
ვინ იცის, რამდენჯერ აგვაცილა
მწუხრი და ჭირი, თეთრმა ხალათმა...

მსოფლიო მაშინ შესძრა ომის ხმამ,
და დავუდექით მამულს დარაჯად,
ჯარისკაცივით ადგა, მოისხა
თეთრმა ხალათმაც, შავი ფარაჯა.
წარსულს ჩაბარდა შიში
და დარდი,
დგება სიმშვიდე, სითბო, ხალვათი,
ისევ იმ მზით და იმედით დადის
ყველგან,ყველასთან თეთრი ხალათი.
ისაა ჩვენი წყაროს წყლის მოსმა
და სიხარულის სხივი სახეზე,
დილიდან მისი ყოველი მოსვლა,
გამარჯვებაა დილის ღამეზე.
დადის და მიკვირს, მეამაყება,
როგორ ატარებს, მტრების ჯინაზე,
ერთად გმირობას, თავგადადებას,
და მარადიულ ქალის სინაზეს.
დაღლილი, ხშირად მთვლემარი ზეზე,
სულ გვეხსომები შენ, უღალატო,
თვალით უხილავ ნაღმების ველზე
მოსიარულე,
თეთრო ხალათო!
გვახალისებდეს ყოველი წუთი,
მადლი გვფარავდეს კვლავ და მარადის,
-ზეცაში თეთრი მტრედების გუნდი,
მიწაზე წმინდა, თეთრი ხალათი.

5/05/2020 წ.

ღალატი

„ჩემი ყველაზე კარგი მეგობარი
ჩემი სარკეა, როცა მე ვტირი,
ის არასდროს იცინის“ - ჩარლი ჩაპლინი

გამომეცალა თითქოს საყრდენი,
ამ ჩემს საფიცარ, ლამაზ მიწაზე,
და გაიფანტა უცებ ამდენი,
ის, რაც ვიწამე, ის რაც ვიწამე.
გაუტანლობა არახალია,
ღალატთან ერთად, ალბათ, ჩვენც გავჩნდით,
მაგრამ ბუნებას არ უსწავლია,
როგორ ვებრძოლო ბრუტუსის აჩრდილს.
ცხოვრების გზებზე ბევრი ვიარე,
რა ვთქვა და,ბევრიც მივედ-მოვედე,
ზევით ავდივარ, ვხვდები ვინა ვარ,
ქვევით, ვინაა ჩემი მოკეთე.
გიწილადებდი ერთობ, გულუხვად,
სანუკვარ ფიქრებს, სანუკვარ აზრებს,
როგორც საყვარელ და ტკბილ ულუფას,
ზურგჩანთით, მთაში მიმავალ გზაზე.
ის წუთი ჰგავდა თოფის გავარდნას,
ღალატის ექო გასცდა ტრამალებს,
გული მატკინე მაშინ, არადა,
მაინც მადლობა - რაღაც მასწავლე.
ამქვეყნად უფრო მეტი დავკარგე,
თუმც, მზად ვარ ვენდო ერთსაც და ათასს,
მინდა, ბოლომდე არ გამოვაკლდე
ამ წუთისოფლის აზარტულ თამაშს.
ვწუხვარ, დაგჩემდა ცქერა ზემოდან,
აღარც მოყვრობა, აღარც მირონი,

გახსოვს? შენ მაშინ გელიმებოდა,
როცა ვტიროდი, როცა ვტიროდი.
ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი,
გვეუბნებოდნენ დასაბამიდან,
როცა გავზომე, როცა გავჭერი,
დროც გაილია, გაქრა, წავიდა.
არასდროს ვეძებ რაღაც ელექსირს,
ვარ და ვიქნები მუდამ მიმნდობი,
იარე, ძმაო, შენთვის, შენი გზით,
მე კი ჩემი გზით, კარგად! მშვიდობით!

არა, არ მიყვარს დამშვიდობება

არ დაიდარდო, ცრემლი მერევა,
არ დაიდარდო ჩემზე ფიქრებით,
არა, არ მიყვარს დამშვიდობება,
დაგიბრუნდები, მოვალ, გპირდები!
ვიხსენებ იმ შენს ცრემლნარევ ამბორს,
იყო სიზმარი, იყო ზღაპარი,
შენი ხმა მესმის, შენი ხმა მათბობს,
ხმა საოცარი, ხმა ჯადოქარი.

სანამ სიცოცხლე კიდევ მახარებს,
სანამ მახარებს ჩემი მთა-ბარი,
ეს ხმა მათბობდეს,ეს ხმა მატკბობდეს,
როგორც სიზმარი, როგორც ზღაპარი.
ვიცი, დარდი მეც ამიგორდება,
დარჩენილ დღეებს უფალს ვავედრებ,
არა, არ მიყვარს დამშვიდობება,
გზა დაელოცოს ყველა შეხვედრებს!

ალმაფრენა

კვლავ მახარებს ჩემი ზეცა,
მწვერვალებზე სწორება,
ისევ ვხვდები პირველ მერცხალს
და მზის ამოგორებას.
ვარ ის, რასაც ღმერთი მაძლევს
და ბუნებას მადლობა!
ალვის ხეებს, მწვანე ნაძვებს
და ფრინველის გალობას.
მე ვარ ყველგან, კიდით-კიდე,
ყველგან გზების საყარზე,
სიცოცხლე სულ სხვაა, ვიდრე
თვე და წელი ქაღალდზე.
ვიდრე მძიმე მაგიდები,
მუცლის დამრგვალებამდე,
აბები და ბურთულები,
ჭამისას თუ ჭამამდე.
ვიდრე მედროვეთა ცვენა,
ჯინჯილების ტარება,
უსასრულო ბოლთის ცემა,
იმ მედროვის კარებთან.
ვიდრე გართობა და ცეკვა,
ცეკვა პურის მაგივრად,
„მომხიბვლელი" ჰიპოთეკა
შემოსილი ვარდისფრად.
თუმცა, ყველა ვართ ამ ცისა,
ყველას ღმერთი გვფარავდეს,
მე კი, ჩავრთავ დროს და ისარს,
და დავითვლი სამამდე...
თამასა კვლავ აიწია,

ვირბენ, კი არ ვიცოცებ,
ის,რაც უფალს მოუცია,
არ დაკარგო, იცოდე.
ღალატის და სილის გარდა,
მერამდენედ დავიწვი,
და სიცოცხლე ისევ აღდგა,
სიყვარულმა რომ იცის.
თუმცა, ხდება, ბოღმა მომდის,
შურის ჭია დაცოცავს,
მაგრამ, სიკეთე გამომდის,
მე ყოველთვის, რატომღაც.

როგორც ლოტოსი

მშობლებს მადლს ვუძღვნი ხშირად აქედან,
პატიოსნება წინ სანთლად ენთოთ,
მუდამ მათბობდეს მათი სახე და
მათი სიკეთე - ამას გთხოვ, ღმერთო!
დედის ტვირთი და დედის ამაგი,
ჯერ ვერავის ვერ აუწონია,
ვიქცეთ კელაპტრად,გავცეთ ათმაგი,
მივაგებთ ვითომ? არა მგონია.
იქნებ ტანჯვისგან დამეწვას მკერდი,
ვინ იცის, რა არ დაგებედება,
იქნებ გაცივდეს მშობელი დედის
დადევნებული ლოცვა-ვედრება.
იქნებ, სატანამ მაცდური ხმითა,
შემაცვლევინოს ნირი და ფერი,
ლოტოსით სავსე ამღვრეულ ტბიდან,
გამომიწოდოს ეშმაკმა ხელი.

წინ დამიდგება დედის ნუგეში,
არ გავიკარებ ფლიდობას გულთან,
გავსხივოსნდები, თუნდაც წუმპეში,
როგორც ლოტოსი, დიდი და სუფთა.

მელანქოლია

დიდხანს ვიარე ეკლიან გზაზე,
ცხოვრება ახლაც მისინჯავს მაჯას,
ვაითუ, რულმა გადამკრა თვალზე,
ვერ გავექცევი ბრუტუსის ხანჯალს,
ვერ გავექეცი ამ თვალთმაქცობას,
ღალატის შიში დამყვება ლანდად,
და ჩემი სიტყვა, ჩემი კაცობა,
ვიღაც-ვიღაცის სამსჯავრო გახდა.
ქართული სუფრაც წარსულს ჩაბარდა,
მჭევრმეტყველება იქცა ყბედობად,
გვერდზე ჩუმად ზის ბრძენი თამადა,
აღარც წესრიგი, აღარც ზნეობა.
აღარ ჩანს, უკვე, არ დააბიჯებს
ქუჩაში კაცი, დარბაისელი,
თაყვანი ჩვენგან იმ ძველ რაინდებს
და კვალს კაცობის, ნდობის, ღირსების.
იმ წლებში, როცა ბავშვი ვიყავი,
ცხენზე შემჯდარი, ცისფერ ზღაპრებში,
ვიცოდი, საით წავსულიყავი,
გზაჯვარედინზე, უცხო მხარეში.
დღეს,იმ ძველ სიბრძნეს არა აქვს ფასი,
გაურკვევლობა ბორკილებს მიგებს,
ტაძრის გზას, ვწუხვარ, დაედო ხავსი,
გზაგასაყარზე სანამდე ვიდგე?...

რაღაც უნდა გითხრა

მზე ღიმილით ათბობს კალთას
ნაზამთრევი მთების,
შენც გამათბე, შენც, პატარავ,
შენი გაღიმებით.
სკოლის ნათელ დღეებიდან,
არ ხუნდება,არა,
შენი თეთრი საყელო და
შენი ლურჯი კაბა.
გახსოვს? იმ ჩემს ბავშვურ ვნებებს,
ვერ გიმხელდი დიდხანს,
და რვეულში ჩაგიწერე
-რაღაც უნდა გითხრა...
როს ვფურცლავდით, გახსოვს, ანბანს?
ვხსნიდით ფერად წიგნებს,
რატომ გულს არ მიხსნი, ალბათ,
პატარა ხარ ისევ.
ნუ მეტყვი კის, და ნურც არას
დე გაგრძელდეს ასე,
რომ ვიარო მშვიდად,წყნარად,
ოცნებებით სავსემ.
თავი მივცე მოგონებებს,
მესმის სკოლის ზარი,
მოვეფერო მწვანე ხეებს,
სკოლის წინ რომ არის.
თან შორსა ხარ ჩემგან,სადღაც,
თან ჩემს გულში ზიხარ,
ვერ ვპოულობ სიტყვებს ახლაც,
„,რაღაც უნდა გითხრა”.
დამიკარგა მოსვენება,
ისევ შენზე ფიქრმა,

ნეტა კიდევ გეღიმება?
„რაღაც უნდა გითხრა”.
შენზე ზრუნვა დამებედოს,
ჩემთვის გაჩნდი იღბლად,
სამი სიტყვა სულ წინ მედო,
„რაღაც უნდა გითხრა“.
ის ბავშვობა, იმ ცის სიო,
ვნახო, თუნდაც სიზმრად,
ერთხელ კიდევ დაგაწიო
- რაღაც უნდა გითხრა...

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის კოლექტივს!

„ცხოვრება მთასავითაა, ადიხარ ნელა,
ჩამოდიხარ სწრაფად“

ისევ ისმის საოცნებო ზარები,
გულს ახარებს კლვავ მზის ამობრწყინება,
თქვენ, პირველებს, გაგაქვთ მძლავრი მკლავებით,
ქვეყნის გარეთ ჩვენი ქვეყნის დიდება!
ჰგავდეს სლალომს სიცოცხლე წარმავალი,
ხან ქარიშხლით, ხან მზის მწველი სხივებით
თავს გიხრიდეთ გზად ათასი ალამი,
ქარს გაჰქონდეს დამთრგუნველი ფიქრები.
არ მოგშლოდეთ ღვთის მადლი და წყალობა,
ანათემა ყველა ფლიდს და მედროვეს!
გაგეზარდოთ ღირსეული თაობა,
სხეულის და სულის ა რ ქ ი ტ ე ქ ტ ო რ ე ბ ს!

25/04/2019

საახალწლო

ქართული სპორტის დიდ მოამაგეს,
ირმა ნიჟარაძეს

შენ ხარ აქ ჩვენი ვარდიც და რკინაც,
იმ ქართველ ქალთა გვარი და სახე,
მტერს როცა მედგრად ებრძოდნენ წინათ,
დღეს - დიდი სპორტის მებაირაღე.
წინამძღოლობა გარგუნა ღმერთმა,
გვახარებს, როცა თავს იყრის შენში,
ნამდვილ ვაჟკაცობასთან ერთად
სიხალისე და ქალური ეშხი.
დიდება, წინსვლა შენს სპორტულ ოჯახს,
დიდი გუნდი ხართ პატარა ერში,
გამარჯვებების ელავდეს დროშა,
ასე მტკიცედ რომ გიჭირავს ხელში!

28/12/2022

ჯერ იყო სიტყვა

ჯერ იყო სიტყვა, მუსიკა ფერთა,
მუსიკა აზრის, სევდის და ტრფობის
და სიყვარულმა გვაჩუქა ერთად
ეს ყველაფერი, ვინ იცის, როდის...
როდის დავმძიმდით პირველად ცოდვით,
როდის აჟღერდა ეს სიტყვა „დედა“
როდის ჩაესკვნა ერთმანეთს, როდის,
სევდა და ტრფობა, ტრფობა და სევდა.
მინდა სულ იყო ასეთი ნორჩი,
მინდა გიქცირო ცქრიალას, მზიანს,
თუმც ვერ ვეტევი პატარა დროში,
დროში, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია.
ეს დროც გაივლის, გაივლის წლები,
გაქრება სოფლის უკუღმართობა,
ბოლოსდაბოლოს, ეჰ, მეც გავქრები,
დარჩება სიტყვა, სევდა და ტრფობა.

„ქარის მოტანილს ქარი წაიღებს”

მოვა უთუოდ,ადრე თუ გვიან
ამხედრებული დარახტულ რაშზე,
ველარ მოიხმარ ქარაგმებს, ფრთიანს,
შეგიცვლის იერს, შეგიცვლის აზრებს.
თავს დაგადგება ერთ მზიან დილით,
როგორც ეგერი, ჩირგვში მჯდომ კურდღელს,
ლამის ეძებდე გასაქცევ ბილიკს,
ლამის ეძებდე მეხუთე კუთხეს.

მოვა და კართან მუშტებს მოგიშვერს,
შემოვა, შემოიჭრება ჯიქურ,
რომ ვერ ეტევი დღეს იმ ქოლგის ქვეშ,
ნატვრად გაგიხდის მარჩენალ ჯიხურს.
მოვა, აგირევს დროს და თარიღებს,
არხეინად მყოფს, აგირევს დავთარს,
ქარის მოტანილს, ქარი წაიღებს,
მერწმუნე, ვერც კი მოასწრებ დათვლას.
ამიტომ, შეხვდი უფალს და გამჩენს,
დედიშობილა, როგორც მოხვედი,
რომ სინანულის გრამიც არ დარჩეს,
იმ მძიმე წუთის, უკან მოხედვის.

აუხდენელი ოცნება

დღეები მირბის, მიაქვს ცოდვები,
მიაქვს წუხილი, სიტკბო, ღალატი,
მე კი რაღაცას სულ ველოდები
გრძელ დერეფანში, ბოლო კარამდი.
თუმც მაინც ვჩქარობ, სადღაც მელიან,
ამ მარათონში მეც მსურს ჩავერთო,
ცუდი, ვფიქრობ არ ჩამიდენია,
კარგი კი, რა ვთქვა, როგორც შემეძლო.
გულს უხარია, როდესაც მზეა,
ყოველდღე ჩვენთვის ჩადის, ამოდის,
ჩვენი სიცოცხლეც ლამაზი დღეა,
თავისი დილით და საღამოთი.
ერთხელ მღერიან თეთრი გედები,
პეპელა ერთხელ შეხვდება ცისკარს,

მეც, ვიცი, მხოლოდ ერთხელ მოვკვდები,
სიცოცხლეც, ალბათ, ამიტომ მიყვარს.
ხვალ კვლავ ვეწვევი ოცნების ნაპირს,
ზღაპრულ ფერიებს კვლავაც ვეწვევი,
დრო კი ულმობლად გარბის და გარბის,
ამაოდ ვცდილობ, ველარ ვეწევი.
ეს დღეც გაქრება, დატოვებს სცენას,
დატოვებს მძიმედ დაშვებულ ფარდას.
წავა, წაიღებს ათასგვარ ვნებას,
აუხდენელი ოცნების გარდა!

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

მძლავრობს ქარი და წვიმა,
სუსხი ბორკილებს მადებს,
თუმც, ველი დღეებს მზიანს,
ვინ იცის, კიდევ რამდენს...
ველი სიხარულს, ღიმილს,
ველი ახლობლის ლოცვას,
როგორც მზის სხივებს დილის,
და ჩვილის პირველ კოცნას.
ველი ქარში თუ დარში,
სიყვარულს, ნარნარს ფერთა,
როგორც იმ ზეიმს მაშინ,
პირველ შეხვედრას შენთან.
ველი და ვივლი დიდხანს,
დიდხანს, ეს კარგად ვიცი,
ვხედავ ჩემს ბედს და იღბალს,
ჩემი ვარსკვლავის ციმციმს.

ჩემს მარათონულ გზაზე,
აღვმართავ ბოლო ალამს,
ღმერთო, მატარე ასე,
ღმერთო, მომეცი ძალა!
დღეებს უკეთესს ველი,
დღე დღეს წვეთებად ერთვის,
ასეა, ყოფაც ჩვენი
სულ ლოდინია ერთი.

ცოტ-ცოტა სევდა მომინდა

გადაიარა ქუხილმა,
დაწყნარდა ზღვა ამღვრეული,
გადაიარა წუხილმა,
დადგა სიმშვიდე ჩვეული.
უშფოთველობამ დამათრო,
ნეტარებაში ჩაფლული,
თითქოს არ იყო არასდროს
არც სევდა, არც სიყვარული.
თითქოს განცხრომა მოვიდა
მესალბუნება ზღვაური,
ცოტ-ცოტა სევდა მომინდა,
ცოტ-ცოტა ის სიყვარულიც...

წვიმიანი ამინდი

სახლებს აწვიმს, ხეებს აწვიმს,
მაისია ქუჩებში,
ვერ ვპოულობ სახლში ადგილს,
ატუზული კუთხეში.
ხან ფანჯარას მივადექი,
ხან ჩემს თავთან ვიჩხუბე,
არ იქნა, ვერ გავექეცი,
მარტოობას, სიჩუმეს.
გავიხურე ბოლოს კარი,
არც მთლად კარგი გუნებით,
გარეთ დამხვდა წვიმა,ქარი
- სიმფონია ბუნების.
და ვიქეცი იმათ გუნდად,
დარდი სადღაც წავიდა,
გავხდი მათი წვეთი სუფთა,
წამოსული მაღლიდან.
ხან ვეპკურე მწვანე ნაძვებს,
ხან მდინარით დავეშვი,
ვერა, ერთ წუთსაც ვერ გავძლებ,
ამ წყლის ძალის გარეშე.
მე ხომ ციდან მოსული ვარ,
ჩემი ხიბლით, წუხილით,
მოსული ვარ, როგორც წვიმა,
ხან ჩუმად, ხან ქუხილით.
მოვდივარ და თან მომყვება,
ჯანი კვლავინდებურად,
ხის ფოთლების შრიალი და
გაწუწული ბელურა.
მე ხომ მათი ნაწილი ვარ,
ღირს სიცოცხლე ამისთვის,
თურმე,რა კარგი ყოფილა,
წვიმიანი ამინდიც.

ჰიმნი სიყვარულს!

მტრედების ღუღუნს, გედების ალერსს,
არ შემიძლია არ ვეთაყვანო,
სიყვარულით და სიკეთით სავსეს,
მარადიულ და ლამაზ სამყაროს.
მოფრენილ მერცხლებს, ბეღურა ჩიტებს,
მშვენიერებას, გარინდულს წამით,
ამურის ისრით დაკოდილ ირემს,
მდედრის წინაშე დახრილი თავით.
მინდვრის ყვავილებს უღრუბლო ციდან
აცოცხლებს მზე და ათბობს მაისი,
ხარობს, იზრდება პიტალო კლდიდან
ამოხეთქილი ედელვაისი.
უხსოვარ დროდან, მოსული ღმრთისგან,
მრავალ ჭირ-ვარამ გადატანილი
ყვავილობს ვაზი, ყვავილობს ჩვენთვის,
ბედნიერების ცრემლად დაღვრილი.
ზღვის ტალღა, თითქმის გაგიჟებული,
ჰქუხს და ბობოქრობს, არ ინდობს არვის,
თუმცა, ბოლოს, ლამის წვეთად ქცეული,
ეალერსება მშობლიურ ნაპირს.
დარცხვენილ იას ეხვევა ვარდი,
როგორც იმ ლექსში, ჰიმნად ქცეული,
გაფურჩქნილ კოკრით, ავსილი კალთით,
მზიანი, ტურფა, შეყვარებული.
გალობს ბულბული, აფრქვევს სინაზეს,
სიყვარულისგან თავგადაკლული,
ჩვენც ხომ, ჩვენც გავჩნდით დედამიწაზე
ამ სიყვარულით, ამ სიყვარულით!!!

გაზაფხულის ჰანგები

აყვავილდა გაზაფხული,
ეს რამდენი იებია?
ჩვენი წლები, დახუნძლული
მარგალიტის მძივებია,
ზოგი ლურჯი, ზოგი თეთრი,
ყველა ეტრფის დილის სიოს,
ღმერთმა ნუ ქნას, თუნდაც ერთი
სხვაგვარი გამოგვერიოს!
დაგვიბრუნდნენ გრძელი გზებით
მერცხლები ცხელ ქვეყნებიდან,
მასპინძლობენ ბეღურები
გათოშილნი, თუმცა თბილად.
აპრილს ჯილდო გადაეცა
ბრძოლისათვის ცბიერ მარტთან,
გათბა მიწა, გათბა ზეცა,
გახალისდა, გაიმართა.
აგერ თეთრ ცხენს მოაგელვებს,
დაიღალა ოდნავ გზაში,
ეს მაისი ფარავს ველებს,
-გაზაფხულის უსტაბაში.
არ მოგვშლოდეს დიდებს, ბავშვებს,
ჯანი კაცის, ზრუნვა ქალის,
ჩაუმქრალი სიკაშკაშე
დღისით მზის და ღამით მთვარის!

ხათუნა

თითქოს ერთბაშად აინთო,
მზის მილიონი ნათურა,
ამდენი სითბო სად იყო?
თურმე, მოსულა ხათუნა!
მოვიდა, შემოანათა,
როგორც ზღაპრულმა ფერიამ,
აი, ჭერი კვლავ ამაღლდა,
აგერ, კედლებიც მღერიან.
რამდენ პატარას ასწავლე,
ფიქრი და სიტყვა ქართულად,
ქართული დიდი ოჯახის
ჭირისუფალო, ხათუნა!
გეტარებინოს ბოლომდე,
ეს სიყვარული სათუთად,
და ყველა ოჯახს ჰყოლოდეს
ბევრი ასეთი ხათუნა.

დავბრუნდები, დავბრუნდები!

ემიგრანტი ბიჭის წერილი დედ-მამას

უცხოელის ოქროს ქისა
გახდა ჩვენი ბეგარა,
შემობრძანდნენ, ლამის იქცა
დიდ სადახლოდ ქვეყანა,
ჩვენ კი, სადღაც ვტკეპნით მიწას,
მიწას, უცხო ქვეყნების,
სადაც დროშებს ვშლიდით წინათ,

დროშებს გამარჯვებების.
უკან დამრჩა სახლი,კერა,
ღამეს ფიქრში ვათენებ,
ბრძოლის ველის მიტოვება,
არ გვჩვევია ქართველებს.
სინანული, მჯიღის ცემა,
არ გვჩვევია, არადა,
დავბრუნდები, ამ გაქცევას
ნუ ჩამითვლით ღალატად.
კარგი საქმე, თბილი სიტყვა,
აქ არ მოდის თავისით,
აქაც მუდამ რაღაც მიყვარს,
თუმც რა, ზუსტად არ ვიცი.
არ იფიქროთ, სხვის მიწაზე
ვარდ-ყვავილებს ველოდი,
ანდა კიდევ ის ვიწამე,
რასაც წლები ვებრძოდით.
ვიცი, მძიმე ჟამი გიდგათ,
მოგიმრავლდათ ხინჯები.
განზე დგომა განა მინდა?
დავბრუნდები, გპირდებით.
დავბრუნდები, სანამ მიყვარს,
ლურჯი ცა და სიცოცხლე,
სანამ ჩვენთან თუთა ისხამს,
დავბრუნდები, იცოდეთ.
თვალწინ მიდგას ხე გზის პირას,
სურო, ხეზე ასული,
თურმე რა ტკბილი ყოფილა,
ჩემი მიწა-მამული.
ვაზის ბაღი,მშვიდი ყურე,
მზე და სოფლის სილაღე,
გთხოვთ, ყურძენი დამიწურეთ

და კარგად შემინახეთ.
კიდევ ერთს გთხოვთ, დამახვედრეთ
ღიმილი და სინათლე,
როგორც წინათ და ამაზე
უკეთესს ვერ ვინატრებ.

შაშის ქვის ბატალიები

ქართული კულტურის გადარჩენისათვის
მებრძოლ ყველა პატრიოტს
„თუ ჯოჯოხეთს გადიხარ, სვლა განაგრძე“
უ. ჩერჩილი

ჰა, გადავთელე მტრის სანგრები, ვდგავარ დამკაში,
გამარჯვებული გადავყურებ ქართულ კოშკურებს,
თუმც, ვიცი ასე არ ჩაივლის მძიმე თამაში,
წინ აღმიდგება ყველა ჯურის მტერი, მოშურნე..
ვიხსენებ წარსულს და უამრავ ერის სიწმინდეს,
ისტორიულ ქარტეხილებში ჩამწვარ - ჩაფერფლილს,
ვხედავ დღეს უკვე მივიწყებულ ძირძველ სიმდიდრეს,
და მიტოვებულ მარგალიტებს ფეხქვეშ დაფენილს.
ვხედავ სტიქიით სახეშეცვლილ მონასტრის კედლებს,
შაჰ-აბასიდან მკვდრეთით აღმდგარ მშობლიურ ვენახს,
წმინდა ვედრებით ხელაპყრობილ მამებს და დედებს,
ჩვენს მომავალს, ჩვენს გადარჩენას, ჩვენს ბრძოლას
ვხედავ!
დე, სავსე იყოს ძლიერების ჩვენი ყულაბა,
ერთხელ კვდებიან ძლიერები, ერთხელ შობილნი,
მინდა ვიბრძოლო ქვეყნისათვის, ჯიქურ, გულაღმა,
ვიდრე ვიცოცო ხის დაფაზე თავჩამხობილი.

28/08/2021

წინაპრის ხმალი

„იყო 100 წლიანი ომები, იყო 30 წლიანი ომები, არის მუდმივი ომები...
ეს არის საქართველოს ისტორია“ /მერაბ კოსტავა/

გამოვეთხოვეთ ომის ნამსხვრევებს,
გაქრა გმირული ბრძოლების კვალი,
და თუ ხანდახან დიდგორს მახსენებს,
კედლის მშვენება,წინაპრის ხმალი.
თუმცა, ეჰ, ისევ გუგუნებს ზარი,
ზარი მზაფრავი, ულრუბლო ცის ქვეშ,
შიგნიდან ტყდება გალავნის კარი,
ველარ ვაკავებთ პირტიტველ ბიჭებს.
ქვეყნისთვის ერთად თუ ვიკრიბებით
ბობოქრობს შუღლი, ლანძღვა, რევანში,
დასკდა ძარღვები, დაცვდა კბილები,
არარსებული მტრების ძებნაში.
ვწუხვარ, კვლავ ვებრძვით მავანს და მავანს,
ვეძებთ მიზეზებს, ფუჭს და მოგონილს,
მაშინ, როდესაც, ვივიწყებთ მთავარს,
ვღალატობთ რწმენას, იმედს, მოლოდინს.
გადავიღალეთ ამდენი ბრძოლით,
ეფემერული გამარჯვებებით,
ბრძოლით, არ ვიცი, ვის და ვის შორის,
მომკალი! მოძმეს ვერ შევებმები.
ზოგი თავს კარგავს, ზოგი ხეირობს,
ზოგს, ვხედავ თმები უდგება ყალყზე,
სად გაგონილა კაცს ეზეიმოს,
გამარჯვებებით საკუთარ ხალხზე?!
მზად ვარ გავუძლო კვლავ ბევრ ტკივილებს,
ერის წინაშე ვიხადო ვალი,

ვებრძოლო, თუნდაც, ქარის წისქვილებს,
ვიდრე, ავლესო წინაპრის ხმალი...

ერთი გასროლა, ორი გასროლა!

თოფი ესროლა ძმობილს ძმობილმა,
ულმობლად, არც კი შეცვლია ფერი,
ეს რა სასტიკი ხალხი ვყოფილვართ,
მაგრამ რა კარგი, დიადი ერი!
ერთი გასროლა, ორი გასროლა
და განწირული ქალის კივილი,
ეს მძიმე სცენაც ასე დასრულდა
ჭირისუფალთა სულის ტკივილით...
ვხედავ სახეებს ფერმკრთალს, სევდიანს,
ცრემლიან თვალებს, გახელილს ფართოდ,
თუმცა, ვწუხვარ, არვის გაკვირვებია
-ეს დრამა ბევრჯერ ნანახი გვაქვსო.
ჩვენც ხომ გვინახავს ბევრი რამ ბავშვებს,
ის დიდი ომი, ერთი ათასში,
როგორ კეტავდა დედა დარაბებს
შეშინებული, ღამის განგაშით.
თავს ვიწონებდით ჩვენი ეზოთი,
ზოგჯერ გვშიოდა, იყო ბარათიც,
არ დავცემულვართ და მტერს ვებრძოდით
ჩვენც, ჩვენებურად, ომობანათი.
მიგვიყვანია ომი ბოლომდე,
და გამარჯვების შევსვით ბოკალი,
ჩვენ კი ბავშვები ისევ ვომობდით,
-მე დაგასწარი, ბახ, ბახ, მოგკალი.
უკვე მოვხუცდით, წლებიც დაგროვდა,

მაგრამ რა ცოდვამ დაგვრია ხელი,
საბედისწერო მეტამორფოზამ
ჩაკლა, ჩაცხრილა ბავშვობა ჩვენი.
აქა-იქ ბზარი გაგვიჩნდა ერში,
ვინ შეგვირყია ბედის ხომალდი,
რომელმა ეშმამ ჩაუდო ხელში,
პირტიტველ ბიჭებს მკვლელი ფოლადი?!
არაფერს ვითხოვ, ღმერთს ვევედრები,
ღმერთო, მიეცი ამათ გონება,
ცოდვის მაგივრად ის ტკბილი წლები,
რომ დარჩეს ნანატრ მოსაგონებლად!!!

ტიროდა ქალი

ოდით ვატარებთ ქვეყნის ბეგარას,
ერთად ვამბობდით ლოცვებს ტაძარში,
რა მოხდა, როდის გამოგვეპარა,
დაუნდობლობა, ცეცხლთან თამაში.
გოდება გასცდა მშობლიურ უბნებს,
ვწუხვარ, იზრდება სატანის კვალი,
ზარი ისმოდა ეზოში, თურმე,
ქალი ტიროდა, ტიროდა ქალი.
ოთახში იდგა სიმძაფრე ნამწვის,
რაფაზე სანთლის ბჟუტავდა ალი,
მუქარით ჭურჭელს ამსხვრევდა კაცი,
ბავშვის საწოლთან ტიროდა ქალი.
არადა, მისი წვეთი ცრემლისთვის,
ვინ იცის, რა ზღვა სისხლი დაღვრილა,
უღრუბლო ცის ქვეშ სიმღერებისთვის,
ტიტინისათვის ჩვილის აკვნიდან.

რამ დაგვავიწყა დედობა მათი,
რამ დაგვიბინდა ორთავე თვალი,
ისაა ჩვენი ჯვარცმა და ხატი,
მუდამ გვახსოვდეს,ჯერ იყო ქალი.
გულჩაწყვეტილი, ის მაინც გვლოცავს,
კვლავ ერთგულების გვაძლევს პირობას,
ზარმა ჩამოჰკრა კვლავ, მაშინ, როცა
ტიროდა ქალი, ქალი ტიროდა.
შენა ხარ ჩვენი თვალის ახელა,
თვალის დახუჭვაც, ასეა ალბათ,
შენს მადლს, სიკეთეს, და შენს ნახელავს,
იქ, თან წავიღებთ, კარგად თუ ავად.
სიმყუდროება მოვიდა,დადგა,
ცა მოიწმინდა, ჩაჩუმდა ქარი,
ამ დროს კი, განმარტოებით, სადღაც,
უხმოდ, უცრემლოდ, ტიროდა ქალი...

ლალი გიორგაძეს

ღრმა პატივისცემით

ასეთი იყო ქართველი ქალი,
უღრუბლო ცის და ერის გულისთვის,
ერთად ეჭირა თასი და ხმალი,
ხმალი მტრისთვის და თასი სტუმრისთვის.
დღეს ამ ქართველი დედის სიწმინდე
და ერთგულება, შენა ხარ, ლალი,
ასაკი არის შენი სიმდიდრე,
ცხოვრება - დიდი, ნათელი კვალი.

და ამ ღირსებას, ერთობ ამაყი,
თავაწეული მუდამ ატარებ,
შენი ზრუნვა და შენი ამაგი
არ მოკლებოდეს დიდს და პატარებს.
ხარ მოფუსფუსე, ჩვენი მრჩეველი,
ხან მასპინძელი, ხან კი სტუმარი,
მზიანი სახლის ბურჯი-კედელი,
მზიანი ეზოს ჭირისუფალი.
გვიჭირს თუ გვილხინს, შენთან მოვდივართ,
გვხვდები ღიმილით, ლაღი, ალალი,
როგორ ახერხებ იყო ოდითგან
მტკიცე, მომთმენი, დაუღალავი.
ყველას უყვარხარ, ყველა გაფასებს,
მოდის ყველასგან სითბო ულევი,
ჰო, და, რა არის უფრო ამაზე
წმინდა, დიადი და ხელთუქმნელი!

არტისტი

ერთ-ერთი სახლის სადარბაზოსთან
ხალხს შეამჩნევდით, ხალისით ავსილს,
იქ, საზეიმოდ იკრიბებოდა
დიდი თეატრის პატარა დასი.
ხალხს არც ჯადოქრის ჯოხი ელოდა
და არც ცილინდრში თეთრი კურდღელი,
მშობლიურ სცენას ეთხოვებოდა
კაცი პატარა, ჰოლივუდელი.
სახლში სხვაგვარი ამინდი იდგა,
მუსიკისა და ცეკვის ამინდი,

შედუღებული მეგობრულ ხიდად,
სილაღლე სტუმრის, სევდა არტისტის.
და აქ ავსებდა პატარა სივრცეს,
ხან მოლოცვები, ხან კი ნუგეში,
არტისტის გული ფეთქავდა ისე,
როგორც პაწია ჩიტი უბეში.
მხიარულობდნენ თამაშ-თამაშით,
დარბაზში იდგა ნამწვავის ბოლი,
კაცი ერთგული, როგორც თეატრში,
აქაც ცხოვრობდა პატარა როლით.
ეჰ, რა ვუთხარი ამ წუთისოფელს,
ხანდახან ლუკმას პირიდან გაცლის,
დაჰკანკალებდა პატარა როლებს
დიდი როლივით, პატარა კაცი.
ბევრჯერ უწვნია უმადურება,
მეგობრებისგან ცრემლი და მარცხი,
თუმც, ჩვეულებრივ, დღეს გულუხვობდა
მოკრძალებული, პატარა კაცი.
მას, თითქოს უკვე აღარ ამჩნევდნენ,
ზარ-ზეიმს აღარ უჩნდა ბოლო,
ყველანი თავის ჰანგზე ამღერდნენ,
ყველა თავ-თავის ამბობდა სოლოს.
ხმაური, ვნება, შუქი კი ბაცი,
ნადიმი უკვე ორგიას ჰგავდა
და ტრიალებდა მათ შორის კაცი,
კაცი პატარა, ქცეული დარდად.
თუმც, ოხუნჯობდა ჩვეულ ხალისით,
დაყვებოდა და ჰკითხავდა თითოს:
„გითამაშია ქვედა ნაწილი,
სპილოსი, როცა ზედა ჭამს ნიორს?“
იყო მუსიკა, ღამის სტუმრები
არ ასვენებდნენ მასპინძლის დარბაზს,

იწურებოდა ოქროს წუთები
არტისტთან ბოლო შეხვედრის ალბათ.
აი, გათენდა, ხალხი წავიდა,
შინ დარჩა კაცი, ფერმკრთალი სახით,
ცრემლში ათქვეფილ, წაშლილ გრიმით და
უერთგულესი მეგობრით, სარკით...

რკინიადა

„როდესაც კაცობრიობა შეწყვეტს გაკვირვებას, იგი შეწყვეტს არსებობასაც“

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით, რაც ადამიანებში იწვევს, შესაბამისად, ზოგჯერ გაოცებასა და აღტაცებას, ზოგჯერ კიდევ შეშფოთებასა და დაბნეულობას. გასული საუკუნის 50-60-იან წლებში საქართველოში მოხდა მოულოდნელი, საოცარი რამ - გათხრების შედეგად, ჩვენი არქეოლოგების მიერ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში აღმოჩენილ იქნა ძველი კოლხური რკინის სადნობი ღუმელები, რომელიც თარიღდება XIII — VIII საუკუნეებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამან დიდი გაკვირვება და აღფრთოვანება გამოიწვია, მაგრამ დროთა განმავლობაში, გაურკვეველი მიზეზების გამო, ის იქნა მიტოვებული და მივიწყებული. საბედნიეროდ, გამოჩნდა კაცი, მკვლევარი, მეცნიერი, ფილოსოფოსი **ბ-ნი ნიაზ ბოლქვაძე,** ჩვენში „კოლხ პრომეთედ“ წოდებული, რომელმაც დიდი ბრძოლითა და შრომით გადაარჩინა და მზის სინათლეზე გამოიტანა ეს უდიდესი, თითქმის განადგურების პირას მიყვანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. შედეგად, ჩვენი ქვეყანა, საქართველო, სულ მალე, სხვა ღირსებებთან ერთად, იქნება აღიარებული მსოფლიოში, როგორც რკინის სამშობლო. ამ დიდ მოვლენებსა და მის შემოქმედს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, **ბ-ნ ნიაზ ბოლქვაძეს,** მის ბრწყინვალე გუნდთან ერთად, მინდა მივუძღვნა ლექსების ციკლი, რასაც დავარქვი „რკინიადა“.

ზურაბ გოგეშვილი

დიდება რკინას!

შემოგვინახა ათასწლეულმა,
მადლი ქართული მიწის,
და ამ მიწაზე, სადღაც,ეულად,
ღადარი ძველი რკინის.
გვასწავლა ყველას, ყმაწვილს თუ მოხუცს,
ერისთვის დაღვრა სისხლის,
რისხვა ელოდა ათასგვარ მომხდურს,
რისხვა კოლხური რკინის.
დიდი, პატარა, ჯავშანს კერავდა,
ასე ხვდებოდნენ დუშმანს,
პატივი ჩვენი მაჭახელას და
გონიოს - ქვეყნის გუშაგს.
ზღვა ბობოქრობდა, ჭექდა, ელავდა,
კოლხეთის ცამ რომ იცის,
ტოკდა, შფოთავდა დიდი ელადა,
ნაპერწკლებისგან რკინის!
სანთლის ალივით ვუფრთხილდებოდით,
სიტყვას, ფიცსა და სინდისს,
ხელი მეომრის, ხელი მეგობრის,
იყო ყოველთვის რკინის.
ვერ შეგვაშინეს შურით, მუქარით,
ქარს მიაპობდა რაში,
ცოცხლობდა კერა, როგორც ვულკანი,
თოვლში, წვიმაში, ქარში.
ასე მოვედით, როგორც ბალადა,
მზე დაჰყურებდა თბილისს,
ზეაღმართული, ასე გვფარავდა
დავითის ხელი რკინის.
თაყვანი ჩვენგან ყველა ქვაკუთხედს,
ყველა ძველისძველ ბექობს,

იმ სიამაყეს, დღეს რომ ვაკურთხეთ,
ჩვენი წარსულის ექოს.
დიდ ტრიუმფამდე წამები რჩება,
წინაპრის სისხლი ყივის,
ერის დიდების გადასარჩენად,
- ჩვენი კოლხური რკინის !

კოლხი პრომეთე

ნიაზ ბოლქვაძეს

არგონავტები მოადგნენ ნაპირს,
ვინ არ გვწვევია, მტერი, მოკეთე,
ისმოდა გმინვა დღისით და ღამით
კლდეს მიჯაჭვული კოლხი პრომეთეს...
ლოკავდა რგოლებს ოთხფეხა ლომა,
იწვა გმირთან და ათევდა ღამეს,
თუმცა, იქ, ჩნდებოდა მჭედელი მონა
და აკეთებდა სატანურ საქმეს.
გავიდა წლები, გაწყვიტა ჯაჭვი,
მთიდან დაეშვა წმინდა მიწაზე,
ო, მაშინ მტერზე ვიყარეთ ჯავრი,
სასწაულები მაშინ ვიწამეთ.
მკერდდაფლეთილმა შეისხა ხორცი,
უკან გაბრუნდა მძლეთამძლე ზევსი,
გმირმა დაასო სიკეთის ბოძი
და ბოროტებას აუგო წესი...

რკინის ჩაქველებს ვუძღვნი

საკვირველებას სოფლისა
ვერ ნახავ ერთის ნახვით
-თურმე რა დიდი ყოფილა
ჩვენი პატარა ჩაქვი!
ერთ დროს სისხლისგან დაცლილი
დღეს ხარობს მხარე, ხალხი,
დიდი კოლხეთის ნაწილი,
ჩვენი პატარა ჩაქვი.
დაე, სიცოცხლის ბორბალი
ბრუნავდეს მუდამ წაღმა,
გვიმრავლოს გმირი მრავალი
ჩვენმა პატარა ჩაქვმა.
ყავლი გაუვა იმედებს,
ნივთებს შეგვიჭამს ჟანგი,
დარჩება სითბო, სიკეთე,
ეს უკვდავების ჰანგი.
ვმღერით უხსოვარ წლებიდან,
მხედრული რიხით, ჩალხით,
სულით - ბუმბერაზ მთებისა,
გულით - პატარა ჩაქვის.
მალე, ზოგ-ზოგის ჯინაზე,
გმირობით, შრომით, საქმით
გვეამაყოს დიდ რუქაზე
ჩვენი პატარა ჩაქვით!

30/08/2022 წ

...

კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის
საინიციატივო ჯგუფის წევრებს

დიდხანს ვიარეთ კარგად თუ ცუდად,
დახლართულ გზებზე და გზაგასაყარს,
კვლავ ვივლით, სანამ ვხარობთ და ვსუნთქავთ,
სანამ მზე ადგას ჩვენს ძველ ბალავარს.
სანამ შევნატრით მთებსა და ველებს,
თავს არ დავზოგავთ, არ მოვისვენებთ,
ვიცოცხლებთ ისევ, სიცოცხლის მერე,
როგორც ისინი, დღეს რომ გვისმენენ.
მუხლჩაუხრელნი, შრომით, წვალებით,
ერის სიწმინდეს წლებია ვზიდავთ,
რკინის სამშობლოს ჯარისკაცები,
ლამის თავადაც ვიქეცით რკინად.
გზა დაელოცოს დღეებს იღბლიანს,
ბრწყინვალე წლების ჭეშმარიტ გარანტს,
ქართულ ქვაკუთხედს, როგორც იტყვიან,
- ჩვენს დიდ ერთობას, უძლეველს მარად.

...

ამშვენებ ქვეყნის დიდებას
ყველგან - გარეთ თუ შინაო,
მარადიულო სიმღერავ,
ნამგალო, ჩემო რკინაო!

რკინიადა

ღრმად გაიდგა დროში ფესვი
ოდისეამ, ილიადამ,
ჩვენც გვყავს ჩვენი უხუცესი,
ჩვენი კოლხი რკინიადა.
როცა წერდა იმ დროს, მაშინ,
ჰომეროსი „ილიადას“,
აქ, კოლხეთში, ცეცხლის ალში
იწრთობოდა რკინიადა.
ანათებდა ზეცას მზე და
ვარსკვლავები მირიადა,
ბრძოლის ჟინით ტოკდა, ჟღერდა
ქვეყნის მხსნელი რკინიადა.
მოდიოდა დიდხანს, დიდხანს
მტკიცე ხელით, ცხელი გულით,
სადღაც უსასრულობიდან
სამყაროში ხმლით და გუთნით.
გაიარა მძიმე ხანა,
გადარჩა და იდიადა,
დღეს აქაა, გაიხარა
ჩვენმა კოლხმა რკინიადამ.

...

მიწამ გვშვა და მიწა გვზრდიდა
უხსოვარი დროდან, წინათ,
მიწამ შვა და განადიდა
ქვეყნის სიამაყე - რკინა.
ღუღუნებდნენ ღუმელები,
აქაც, იქაც, ჩუმად, ფრთხილად
და კოლხეთის მაღლობები
იქცა ერთ დიდ კოლხურ რკინად!

რკინად ქცეული ყინული

ოდით ვცხოვრობდით მადლით და ხვავით,
ვუფრთხილდებოდით ძმობას, რიგიანს,
შენ თუ დღეს ქმნიდი სიკეთეს, ხვალ კი
კარგად იცოდი, ჩემი რიგია.
ახლა რა მოგვდის, ლამის ვიზიტად,
როს გვექცა კინკლაობა და შფოთი,
სანამ ველოდოთ უცხო მიწიდან
მტრედს, ზეთისხილის ნანატრი რტოთი?!
თუმც, მადლი უფალს, გადავიტანეთ
ჭირი ხილული, არახილული,
მოწყდა ნაპირებს, მოწყდა დაიძრა
უნდობლობის და მტრობის ყინული.
შრომით გაგვევლოს გზა საარსებო,
გზა უსასრულო, მარადიული,
რკინად გვექციოს, რაც კი არსებობს
ქვეყნად სუყველა მტრობის ყინული...

...

ის დილა არვის უქადდა ავდარს,
წამოვიშალეთ, ზარმა დარეკა,
ბრმად მოიწევდა ტრაქტორი ავად
ერის სიმდიდრის გადასალეკად.
ამ დროს გამოჩნდი, კოლხი პრომეთე,
შვილი ამ მიწის, ამ ზღვის, ამ ცისა,
და ტრაქტორს ჯიქურ გადაეღობე,
როგორც ტანკს მამა ჯარისკაცისა!

რკინის ხიდი

როცა გავჩნდით, გაჩნდა რკინაც,
მოვდიოდით დიდხანს ერთად,
იცით, რამ გადაგვარჩინა?
დაბლა რკინამ, მაღლა ღმერთმა!
თავს ვიცავდით მისხალ-მისხალ,
ძნელბედობას რომ დაგვჭირდა,
ომში ხანჯლად ჩამოისხა
გუთნისა და ნამგლის რკინა.
მაშინ, უკვე, ჩვენ ვიცოდით
სტუმრის ფასი, მოყვრის ფასი,
და ვხვდებოდით ყველგან ოდით
მტერს მახვილით, სტუმარს - თასით.
ნანატრ ნათელს ცვლიდა ბინდი,
დავდიოდით ბეწვის ხიდზე
და თუ გვქონდა წლები მშვიდი,
გვქონდა სათვალავად თითზე.
ზანზარებდა ცა და მიწა,
თავს გვესხმოდნენ ყოველ მხრიდან,
გავუძელით, გადაიქცა
ბეწვის ხიდი რკინის ხიდად.
გზა ბრძოლებით გაიარა
ერმა მცირემ, სულით დიდმა,
მეგობრობას აზიარა
დედამიწა რკინის ხიდმა.
დღეს მტკიცედ ვართ, ვიდრე ოდეს,
ერთად პატარა და დიდი,
დაე, ყველა დადიოდეს
კოლხიდელის რკინის ხიდით!!!

რკინის კოლხურ ღუმელებს

ღვთის წილხვედრ ამ ჩემს ძირძველ მხარეში,
ღვთის ძალამ გვშობა, გადაგვარჩინა,
ხმლების ჟღარუნი, მტრების თარეში
და ბევრი რამეც გაქრა, წავიდა...
თითქოს უჩინო და უსახელო,
ამ გაღვიძებას დიდხანს ელოდი,
ყოველთვის, ჩვენი სულის მჭედელო,
ასეთად რჩები, გწამდეს, ბოლომდი.
ზოგს ვარსკვლავების ცვენა იზიდავს,
ზოგი ამაყობს ამით თუ იმით,
ჩვენ კი მოვდივართ ნეოლითიდან
და გზას ვაგრძელებთ კოლხური რკინით.
მხოლოდ შენა ხარ მარადიული,
ღრმა ძილში მყოფი, არსად წასულხარ,
შენა ხარ ჩვენი ძალა ღვთიური,
და ხიდი ჩვენი, ჩვენს დიდ წარსულთან.

...

ვარ ტოლი რკინის ღუმელის ახლა -
-ვიღებ სითბოს და ვიღებ მილოცვებს,
ვიწყებ დღეების თავიდან ათვლას
და ღუმელივით ახალ სიცოცხლეს!

სარჩევი

შემოდგომის ფოთლები 3
ტყეში ჩიტებთან მაცხოვრა ნეტა 3
პირველად, მაშინ 4
*** წესად გვქონდეს ცხოვრებაში ტარება....5
ერთხელ, რთველობას!....5
*** კარი ყველასთვის ჩემი ღიაა....6
ისევ ის ბავშვობა მინდა! 7
ღიად დარჩენილი იარა....9
ქალი და ქარი....10
პრემიერაა დღეს ჩვენს ქალაქში....11
ესეც გაივლის! (სიბრძნე სოლომონისა) 12
ძმობის ფიალა 13
მეგობრობა 14
ამოუცნობი ღამე 15
იმ წუთებისთვის! 16
სუფთა ხელები 17
თავად მოვა....18
აისიდან დაისამდე 19
სინანული....19
ექიმ კახა შარაშიძეს 21
გაფრენილი წლები 22
ქალმა ეშხით შემომხედა....24
აფხაზეთი....25
ბათუმს 26
*** ბატონ გურამ ფუტკარაძეს... 27
ერთი ნახვით შეყვარება 28
ნატვრა 29
ნოსტალგია....29
მამის წუხილი 31
როგორც იმედი და მონატრება....32
ბალადა ძაღლზე 33
ღამის შუქ-ჩრდილები 35
ცხოვრების მარათონი....36
ქება მზეს! 37
დედ-მამის სახლი....38
შენთვის....40
შოთა არველაძეს, 2000 წელი 41
ცუდი სიზმარი... · 42
ოდა ყვავილს 43

ოჯახური იდილია 44
სიკეთის თესლი.....45
ქალი და ვარდი.....46
სახალისო.....47
ერთი წუთი 47
რა წავიღო, სად წავიღო... 49
დედის წუხილი 50
ჭირისუფალი 51
ერთგულება.....52
*** გაწყენინე? განა მინდა?... 53
მთები და პატარა გოგონა.....53
შორეული ნაოსნობის კაპიტანს,.....54
ზურაბ (ჯონი) პატარაძეს 54
„იყო და არა იყო რა“ 56
ქეთი დოლიძეს 57
თეთრი სიჩუმე.....58
***გაქრა ოცნების ლურჯი მირაჟი... 59
*** ალისფრად როცა თენდება... 60
ჯანსაღი ცხოვრების მოყვარულთ 60
(იუმორით) 60
მათი მწამს და მათი მესმის! 62
“ესეც ასეო” 63
*** შენი ღიმილი ცისკარს მაგონებს.....64
გიორგი შაქარაშვილის ხსოვნას!.....65
ჩემს დას ლალის! 66
შვილიშვილს 67
გამზრდელები 68
დამოუკიდებელი საქართველოს პირველ მსოფლიო ჩემპიონს
ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მუხრან ვახტანგაძეს 69
ისტორიის მეტამორფოზები 70
განსაცდელი.....71
ასანთის აღსარება.....73
საგაზაფხულო სადღეგრძელო 74
ჩიტები და ქარი 75
მე და ზღვა 76
ბ-ნ აკაკი ბერიძეს, მისი 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით.77
*** ვერაგი სენი გვიტევს და გვიტევს.....78
თეთრი ხალათი 78
ღალატი.....80
არა, არ მიყვარს დამშვიდობება 81
აღმაფრენა.....82

როგორც ლოტოსი 83
მელანქოლია 84
რაღაც უნდა გითხრა 85
მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის
სპორტის სასახლის კოლექტივს! 86
საახალწლო 87
ჯერ იყო სიტყვა 88
„ქარის მოტანილს ქარი წაიღებს” 88
აუხდენელი ოცნება 89
მოლოდინი 90
ცოტ-ცოტა სევდა მომინდა 91
ჰიმნი სიყვარულს! 93
გაზაფხულის ჰანგები 94
ხათუნა 95
დავბრუნდები, დავბრუნდები! 95
შაშის ქვის ბატალიები 97
წინაპრის ხმალი 98
ერთი გასროლა, ორი გასროლა! 99
ტიროდა ქალი 100
ლალი გიორგაძეს 101
არტისტი 102
რკინიადა 105
დიდება რკინას! 106
კოლხი პრომეთე 107
რკინის ჩაქველებს ვუძღვნი 108
*** დიდხანს ვიარეთ კარგად თუ ცუდად... 109
*** ამშვენებ ქვეყნის დიდებას... 109
რკინიადა 110
*** მიწამ გვშვა და მიწა გვზრდიდა... 110
რკინად ქცეული ყინული 111
*** ის დილა არვის უქადდა ავდარს... 111
რკინის ხიდი 112
რკინის კოლხურ ღუმელებს 113
***ვარ ტოლი რკინის ღუმელის ახლა -... 113

დაიბეჭდა: შპს „პოლიგრაფისტი“,
ქ. თბილისი, სურამის ქ. №13
ტელ.: 2 95 00 97
E - mail: poligrafisti@yahoo.com